პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

საქ. კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის, თბილისის კომიტეტისა და საქართველოს სსრ მშრომელთა დეპუტატების საბჭოების ორგანო

№ 293 (5394) | შაბათი, 24 დეკემბერი 1938 წ. | ფასი 10 კაპ.

დ ღ ე ს გ ა ზ ე თ შ ი:

ხალხთა სტალინური მეგობრობა ურყევია (მოწინავე)
მარქსისტულ-ლენინური თეორიით შევაიარაღოთ მეცნიერული კადრები („პრავდის“ მოწინავე მე-2 გვ.).
ბ. ნანიტაშვილი — ლენინური „ისკრა“ (ფელეტონი. მე-3 გვ.).
აზიზ შარიფი — აზერბაიჯანელი ხალხის დიადი შვილი (მე-3 გვ.).
მირზა-ფატალი ახუნდოვი—პუშკინის გარდაცვალებაზე (ლექსი. მე-3 გვ.).
უცხოეთში
საფრანგეთ-იტალიის ურთიერთობა (1-ლი გვ.).
საფრანგეთის პრესის გამოხმაურება ჩიანოს მოლაპარაკებაზე (1-ლი გვ.).
საფრანგეთის დეპუტატთა პალატაში (1-ლი გვ.).
პან-ამერიკულ კონფერენციაზე (1-ლი გვ.).
შედეგები ჩიანოს მოლაპარაკებისა ბუდაპეშტში (1-ლი გვ.).
გენერალ ჯენ-ჩენის განცხადება (1-ლი გვ.).
მღელვარება ესპანელ მეამბოხეთა ზურგში (მე-4 გვ.).

ხალხთა სტალინური მეგობრობა ურყევია

ხვალ სრულდება XXI წელი მას შემდეგ, რაც კლასობრივი ბრძოლის ცეცხლში დაიბადა უკრაინის სოციალისტური საბჭოთა რესპუბლიკა — განუყოფელი ნაწილი დიადი საბჭოთა კავშირისა. უკრაინაში საბჭოთა ხელისუფლების დამყარების XXI წელი საბჭოთა კავშირის ყველა ხალხთა დღესასწაულია. უდიდესი აღფრთოვანებით და გრანდიოზული მიღწევებით ხვდება საბჭოთა უკრაინა ამ ისტორიულ თარიღს.

რევოლუციამდელ უკრაინას სისხლს სწოვდნენ თურქეთის სულთანები, თათართა ხანები, პოლონეთის შლიახტა, რუსეთის კაპიტალისტები და დასავლეთის იმპერიალისტები.

ოქტომბრის დიდმა სოციალისტურმა რევოლუციამ უკრაინის მიწა-წყალი გასწმინდა უცხოელ და უკრაინელ ექსპლოატატორთაგან. დიდი რუსი ხალხის დახმარებით უკრაინის მუშათა კლასმა გლეხობასთან მჭიდრო კავშირში, ბოლშევიკური პარტიისა და პროლეტარული რევოლუციის გენიოსების **ლენინისა და სტალინის** ხელმძღვანელობით თავისი მიწა-წყლიდან გააძევა გერმანელი, პოლონელი და სხვა იმპერიალისტი ოკუპანტები და დამპყრობელები და პროლეტარიატის დიქტატურა დაამყარა.

ლენინ-სტალინის დიადი პარტიის, საბჭოთა მთავრობის, ხალხთა საყვარელი ბელადის დიდი **სტალინის** ბრძნული ხელმძღვანელობით საბჭოთა უკრაინა აყვავებულ მხარედ გადაიქცა. საბჭოთა უკრაინა—დიადი საბჭოთა კავშირის ეს მარგალიტი — წარმოადგენს მძლავრ ინდუსტრიულ ქვეყანას მსხვილი სოციალისტური მიწათმოქმედებით. უკრაინის სს რესპუბლიკა ცნობილია თავისი გიგანტური საწარმოებით. ქვანახშირის ამოღების მხრივ უკრაინამ გაუსწრო პოლონეთს, იაპონიასა და საფრანგეთს. საკმარისია აღინიშნოს, რომ მაკეევკის კიროვის სახელობის მეტალურგიული ქარხანა იძლევა იმდენ თუჯს, რამდენსაც პოლონეთი და იტალია ერთად. მთელს ევროპაში ყველაზე უფრო მძლავრი ჰიდროსადგური იმყოფება უკრაინის ცენტრში — დნეპრზე. საბჭოთა უკრაინაში განვითარდა მრეწველობის ისეთი ახალი დარგები, როგორიცაა: ავტოსატრაქტორო, ალუმინის, ფოლადის და სხვა.

საკოლმეურნეო წყობილების ბრწყინვალე გამარჯვებამ უკრაინის გლეხობა შეძლებულობის ფართო გზაზე დააყენა. საბჭოთა უკრაინაში ყოველწლიურად იზრდება მარცვლეულისა და ტექნიკური კულტურების მოსავლიანობა. საბჭოთა უკრაინა სრული უფლებით ითვლება საბჭოთა კავშირის პურის ბეღლად. 1937 წელს უკრაინამ ხორბლის მოსავალი მეტი აიღო, ვიდრე გერმანიამ, პოლონეთმა და უნგრეთმა ერთად.

მოძმე უკრაინაში მძლავრ აღმავლობას განიცდის სახალხო მეურნეობის ყველა დარგი. იზრდება და ვითარდება ფორმით ნაციონალური და შინაარსით სოციალისტური კულტურა.

საბჭოთა უკრაინა მდიდარია ნიჭიერი, ტალანტიანი ადამიანებით, რომელნიც თავგამოდებით მუშაობენ სოციალისტური სამშობლოს აყვავებლად. დონეცის ქვანახშირის ბასეინი — საყოველთაო სახალხო სტახანოვური მოძრაობის სამშობლოა. უკრაინის ნაყოფიერ მიწაზე მეჭარხლეობაში ხუთასოვანთა მოძრაობის დროშა პირველად მარიამ დემჩენკომ ააფრიალა. დიდი სისწრაფით პირველი მატარებელი მემანქანე პეტრე კრივონოსმა წაიყვანა. ალექსი სტახანოვის, მარიამ დემჩენკოს, პეტრე კრივონოსის მაგალითებზე მილიონობით ადამიანები სწავლობენ.

აყვავებული საბჭოთა უკრაინა ლენინურ-სტალინური ნაციონალური პოლიტიკის ნათელი განსახიერებაა. საბჭოთა უკრაინა სოციალისტური დოვლათით აღსავსე თვალმარგალიტად ბრწყინავს საბჭოთა კავშირის 11 მოკავშირე რესპუბლიკის თანავარსკვლავედში.

საბჭოთა კავშირის ხალხთა დიადი სტალინური მეგობრობა ცოცხლობს და დღეგრძელობს. კიდევ უფრო მტკიცდება საბჭოთა უკრაინის და საბჭოთა საქართველოს ხალხთა ძმური მეგობრობა. სოციალისტური შეჯიბრება უკრაინისა და საქართველოს კოლმეურნეთა შორის ფართო ხასიათს ღებულობს. ორდენოსანი საქართველოს მშრომელთ ბედნიერება ჰქონდათ წელს ნოემბერში თავიანთ ბარაქიან მიწა-წყალზე მიეღოთ უკრაინის სსრ კოლმეურნეთა დელეგაცია. ეს შეხვედრა ხალხთა სტალინური მეგობრობის მძლავრ დემონსტრაციად გადაიქცა. საქართველოს ცალკეული კოლმეურნეობანი ერთმანეთს ეჯიბრებიან იმისათვის, რომ მოიპოვონ უფლება უკრაინაში გასაგზავნ კოლმეურნეთა დელეგაციაში მონაწილეობის მიღებისა. სტალინური კონსტიტუციის 2 წლისთავთან დაკავშირებით სოციალისტურ შეჯიბრებაში ჩაებნენ დონბასის, ტყიბულის და ტყვარჩელის შახტები. ამ სოციალისტური შეჯიბრების შედეგად თვალსაჩინოდ იზრდება მაღაროელთა საწარმოო ენტუზიაზმი.

ფაშისტებს და მათ დაქირავებულ აგენტებს, ტროცკისტ-ბუხარინელ არამზადებს და ბურჟუაზიულ-ნაციონალისტებს სურდათ აყვავებული საბჭოთა უკრაინა ჩამოეშორებინათ საბჭოთა კავშირის ერთიანი ოჯახისაგან და იქ ფაშისტური დიქტატურა დაემყარებინათ. მაგრამ არამზადები ანგარიშში მოსტყუვდნენ. მოღალატეთა საზიზღარი ბანდა აღგვილია საბჭოთა წმინდათა-წმინდა მიწის პირისაგან. უკრაინის პარტიული და არაპარტიული ბოლშევიკები, რომლებსაც ხელმძღვანელობს დიდი **სტალინის** საუკეთესო თანამებრძოლი ამხ. **ნ. ს. ხრუშჩოვი**, მომავალშიაც გასრესენ პირსისხლიანი ფაშიზმის აგენტებს და არ გააჭაჭანებენ მათ საბჭოთა უკრაინის მშვენიერ მიწა-წყალზე. უკრაინელი ხალხი, ისე როგორც მთელი საბჭოთა კავშირის ხალხები, მჭიდროდ დარაზმულია საკ. კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტისა და ამხანაგ **სტალინის** გარშემო.

სტალინური კონსტიტუციის მზის სხივებით გაბრწყინვებული უკრაინის გმირი ხალხი, საბჭოთა კავშირის ხალხებთან ხელიხელჩაკიდებული, ლენინ-სტალინის პარტიის უძლეველი დროშით იპყრობს კომუნიზმის ახალ-ახალ მწვერვალებს.

საბჭოთა უკრაინა, რომელიც წარმოადგენს ჩვენი ქვეყნის ურყევ ფორპოსტს, ფხიზლად იცავს სოციალისტური სამშობლოს საზღვრებს, და თუ მტერი გაბედავს თავს დაესხას სოციალიზმის ქვეყანას, უკრაინის ხალხი მთელ საბჭოთა კავშირის ხალხებთან ერთად მათ უჩვენებს, თუ რას ნიშნავს საბჭოთა კავშირის ხალხის მორალურ-პოლიტიკური ერთიანობა.

გაუმარჯოს საბჭოთა კავშირის ხალხთა დიად სტალინურ მეგობრობას!

ჩვენი მხურვალე ბოლშევიკური სალამი საბჭოთა უკრაინის მუშებს, კოლმეურნეებს და მშრომელ ინტელიგენციას!

ტყვარჩელის სახელმწიფო რაიონულმა ელსადგურმა მოგვცა პირველი სამრეწველო დენი

23 დეკემბერს, 12 საათსა და 20 წუთზე ტყვარჩელის სახელმწიფო რაიონულმა ელსადგურმა მოგვცა პირველი სამრეწველო დენი. საქართველოში ეს პირველი რაიონული თბოსადგურია.

ტყვარჩელის ელსადგურის ამუშავებასთან ერთად დენს იღებს საქართველოს სსრ ქაღალდის მრეწველობის პირველი ქარხანა — ენგურქაღალდკომბინატი.

ჩვენს თანამშრომელთან საუბარში საქართველოს ენერგოს მთავარმა ინჟინერმა ამხ. ვ. ნ. მხეიძემ შემდეგი განაცხადა:

— ტყვარჩელის სახელმწიფო რაიონული ელსადგური აშენებულია მდინარე გალიზგას მშვენიერ ხეობაში. მისი საპროექტო სიმძლავრე 100 ათას კილოვატს უდრის. ამჟამად მწყობრში შევიდა პირველი რიგის სადგური, რომლის სიმძლავრე 24 ათას კილოვატს უდრის. სადგური მუშაობს ტყვარჩელის მაღაროების ნახშირზე.

ტყვარჩელის სახელმწიფო რაიონული ელსადგური ჩართულია საქართველოს სსრ რაიონებში მომქმედ ელსადგურების ჯგუფში. დაიწყო სადგურის დროებითი ექსპლოატაცია. სათანადო ვადის განვლის შემდეგ სადგურს მიიღებს მთავრობის კომისია და დაიწყება მისი სამრეწველო ექსპლოატაცია.

22 დეკემბერს მთელი დღე და ღამით მიმდინარეობდა გადაცემის ხაზების (ტყვარჩელის ელსადგური-სამტრედია-რიონი) და ზუგდიდის ლია 100 კილოვოლტიანი ქვესადგურის (ენგურის ქაღალდკომბინატის) გამოცდა. გადაცემის ხაზებისა და ზუგდიდის ქვესადგურის გამოცდამ, რომელთაც დენი 22 დეკემბერს 15 საათსა და 30 წუთზე მიიღეს, დამაკმაყოფილებელი შედეგები მოგვცა. თვით ტყვარჩელის სახელმწიფო რაიონული ელსადგურის გამოცდამ, რომელიც 21 დეკემბერს დამთავრდა მთელი აგრეგატის მუშაობის მხრივ (საქვაბე დანადგარი, ტურბინა და გენერატორი) დამაკმაყოფილებელი შედეგები მოგვცა. დამაკმაყოფილებლად მუშაობს აგრეთვე ლია ქვესადგური. (საქდესი).

კვეზან-სამტრედიის გადაცემის ხაზის გამოცდა

სოხუმი, 23 დეკემბერი (საქდესი). 23 დეკემბერს წარმატებით დამთავრდა კვეზან-სამტრედიის გადაცემის ხაზის გამოცდა. გამოცდის მთელი ხნის განმავლობაში გადაცემის ხაზი, 114 კილომეტრის მანძილზე, უნაკლოდ მუშაობდა. შუადღის 12 საათზე თბოსადგური ჩართულ იქნა საქართველოს ელექტროსადგურთა ჯგუფში.

ჩართვის შემდეგ პირველ საათში სადგურმა გამოიმუშავა 3.000 კილოვატი, ხოლო 5 საათის შემდეგ —6.000 კილოვატი. თბოსადგური იმუშავებს 24 დეკემბრის დილამდე, შემდეგ კი მას გააჩერებენ მოწყობილობისა და მექანიზმების შესამოწმებლად.

26 დეკემბერს დაიწყება ტყვარჩელის თბოელექტროსადგურის პირველი ქვერიგის ნორმალური ექსპლოატაცია.

სოციალისტური სამშობლოს წარჩინებული ადამიანები: მარცხნიდან მარჯვნივ ალექსი სტახანოვი, პეტრე კრივონოსი, მარია დემჩენკო, მაკარ მაზაი და საბჭოთა კავშირის გმირი პოლინა ოსიპენკო.

საფრანგეთ-იტალიის ურთიერთობა

პარიზი, 22 დეკემბერი (საკდესი). ეს-ეს არის იტალიის მთავრობამ ოფიციალურად აცნობა საფრანგეთის მთავრობას, რომ იგი გაუქმებულად სთვლის საფრანგეთ-იტალიის ხელშეკრულებებს, რომლებიც ლავალისა და მუსოლინის მიერ იყო ხელმოწერილი რომში 1935 წლის 6 იანვარს.

ჰავასის სააგენტოს ცნობებით, იტალიის საგარეო საქმეთა მინისტრმა ჩიანომ საფრანგეთის რომაელ ელჩს პონსეს განუცხადა, რომ ეს ხელშეკრულებანი „მიუღებელი გახდნენ და არ შეეფერებიან ვითარებასო“. სააგენტო იუწყება, რომ „იტალიის მთავრობის ამ აზრს არ იზიარებენ საფრანგეთის პოლიტიკური წრეები, რომლებიც ჰფიქრობენ, რომ 1935 წლის ხელშეკრულებებმა საბოლოოდ მოახდინეს საფრანგეთსა და იტალიას შორის ყველა სადაო საკითხის ლიკვიდაცია“.

„ტანი“ მოაგონებს, რომ „1935 წლის ხელშეკრულებანი შეიცავენ კონვენციას ტუნისში იტალიელთა მდგომარეობის შესახებ, საბოლოოდ აწესებენ საზღვრებს ლიბიასა და ტუნისს შორის და საფრანგეთის სომალსა და ერიტრეას შორის, შეიცავენ იტალიის უფლების აღიარებას დუმეირის კუნძულზე და ითვალისწინებენ იტალიელთა მონაწილეობას ჯიბუტიდან ადის-აბებისაკენ მიმავალ რკინიგზის აქციებში“.

„ტანი“ დასძენს, რომ საფრანგეთის მთავრობას არ შეუძლია გასცილდეს 1935 წლის ხელშეკრულებათა ფარგლებს, რომლებიც რატიფიცირებულია როგორც რომში, ისე პარიზში.

საფრანგეთის პრესის გამოხმაურება ჩიანოს მოლაპარაკებაზე ბუდაპეშტში

პარიზი, 22 დეკემბერი (საკდესი). პარიზის მთელი რიგი გაზეთები ადასტურებენ, რომ წინასწარი მოსაზრებანი, რასაც უკავშირებდნენ იტალიის საგარეო საქმეთა მინისტრ ჩიანოს გამგზავრებას ბუდაპეშტში, სავსებით გამართლდა.

„იტალიის მინისტრმა, — სწერს გაზეთი „ეპოკი“, — მოახერხა მიეღწია იმისათვის, რომ უნგრეთი სავსებით შეერთებოდა „რომ-ბერლინის ღერძს“. უნგრეთი ამიერიდან გაატარებს ამ ღერძის პოლიტიკას. უნგრეთი მალე დასტოვებს ერთა ლიგას და მიემხრობა ეგრეთწოდებულ „ანტიკომინტერნულ“ პაქტს. ბოლო მოეღო უნგრეთის ცდებს წინააღმდეგობა გაეწია გერმანიისათვის, რაც განსაკუთრებით მკაფიოდ გამოიხატა პოლონეთთან საერთო საზღვრის შექმნის პროექტით. ამის სამაგიეროდ რომი და ბერლინი მხარს დაუჭერენ უნგრეთის პრეტენზიებს მეზობელ ქვეყნების ტერიტორიაზე“. „უნგრეთმა იმიტომ დასთმო, — სწერს გაზეთი,—რომ ეს დათმობა მას ტრიანონის ხელშეკრულების ფართო რევიზიის შესაძლებლობას აძლევს. რუმინეთს, რომელსაც დიდძალი უნგრელი უმცირესობა ჰყავს, ემუქრება როგორც გერმანია, ისე უნგრეთი. იუგოსლავიაშიც იციან, რომ უნგრეთს არ დაუკარგავს იუგოსლავიის განაწილების იმედი“.

„თუ იტალია, — სწერს შემდეგ „ეპოკი“, — წავიდა ასეთ დიდ დათმობაზე გერმანიის მიმართ ცენტრალურ ევროპაში, დათმობაზე, რასაც შეიძლება ეწოდოს თავის ინტერესებზე უარის თქმა იტალიის მხრით, ეს აიხსნება იმ ფორმალური გარანტიების მიღებით, რომ გერმანია მხარს დაუჭერს იტალიის მოთხოვნებს ხმელთაშუა ზღვასა და მეწამულ ზღვაში. საფრანგეთმა დაუყოვნებლივ უნდა განახორციელოს იმ ქვეყნებთან დაახლოების პოლიტიკა, რომელთაც, ისე როგორც საფრანგეთს, საფრთხე ემუქრება, სახელდობრ, პოლონეთთან და რუმინეთთან“.

პან-ამერიკულ კონფერენციაზე

ნიუ-იორკი, 22 დეკემბერი (საკდესი). პრესის მიერ ლიმიდან (პერუს დედაქალაქი) მიღებული ცნობების მიხედვით, უმნიშვნელოვანესი ქვეყნების დელეგაციები დასთანხმდნენ მიიღონ დეკლარაცია სოლიდარობისა ამერიკის ქვეყნებს შორის. ეს დეკლარაცია შედგენილია ზოგადი სახით არგენტინის დელეგაციის დაჟინებითი მოთხოვნის შესაბამისად.

როგორც სჩანს, ჰელმა უარი სთქვა ცდაზე დაჟინებით მოეთხოვა ისეთი დეკლარაციის მიღება, რომელიც მიმართული იქნებოდა „არაამერიკული ქვეყნების აგრესიის“ წინააღმდეგ, რათა შექმნილიყო ისეთი შთაბეჭდილება, რომ კონფერენციაზე თითქოს თანხმობა სუფევდა. როგორც იუწყებიან, მიღებული დეკლარაცია, ითვალისწინებს რა ყოველგვარი აგრესიისათვის წინააღმდეგობის გაწევას, ამავე დროს გადაკვრით მიუთითებს, რომ შესაძლებელია აგრესია ლათინური ამერიკული ქვეყნების წინააღმდეგ ამერიკის შეერთებული შტატების მხრით. ასეთი ფორმულა აკმაყოფილებს არგენტინის დელეგაციას, რომელმაც განაცხადა: ვშიშობთ, ამერიკის შეერთებულმა შტატებმა შეიძლება შემდეგში ხელი აიღონ „კეთილმეზობლური ურთიერთობის პოლიტიკაზე“ და „დაუბრუნდნენ ლათინური ამერიკული ქვეყნების წინააღმდეგ მიმართული აგრესიის პოლიტიკასო“. დეკლარაცია ითვალისწინებს კონსულტაციას ამერიკის ქვეყნებს შორის აგრესიის შემთხვევაში და ამავე დროს მოქმედების თავისუფლებას ანიჭებს თვითეულ ქვეყანას.

გენერალ ჯენ-ჩენის განცხადება

ჩუნცინი, 22 დეკემბერი (საკდესი). 21 დეკემბერს უცხოელი ჟურნალისტების კონფერენციაზე გამოვიდა სამხედრო საბჭოს პოლიტიკური სამმართველოს უფროსი და მეცხრე სამხედრო რაიონის სარდალი გენერალი ჯენ-ჩენი. თავის მოხსენებაში მან დაასურათა ახლანდელი მდგომარეობა ჩინეთის ფრონტებზე და შეჩერდა ომის პერსპექტივებზე. ჯენ-ჩენმა ხაზგასმით აღნიშნა, რომ განმათავისუფლებელი ომი შევიდა მეორე პერიოდში. „დავუტოვეთ რა მტერს მნიშვნელოვანი ტერიტორია, — განაცხადა მან, — ჩვენ შევინარჩუნეთ ძალები და არმიის მესამედს ვიყენებთ მტრის ზურგში, მესამედს ფრონტებზე და მესამედსაც ქვეყნის შიგნით, რომელიც მზად არის მოწინავე ხაზების ჯართა შესავსებად. იაპონელთა გეგმა ომის სწრაფად დასრულებისა სავსებით ჩაშლილია.

ომიანობის 18 თვემ დაგვარწმუნა, რომ იაპონიას არ შეუძლია დაიპყროს ჩინეთი. ჩვენ გვაქვს ხელსაყრელი პირობები ხანგრძლივი ომის საწარმოებლად.

ამჟამად ქვეყნის შიდა ნაწილებში სწარმოებს მრავალი ასეული ათასი ახალი მებრძოლის მზადება. უფრო ფართოდ იშლება ჩვენი ძალების მოქმედება მტრის მიერ დაკავებულ ტერიტორიაზე. ჩვენ გვაქვს სურსათის მარაგი, რომელიც უზრუნველჰყოფს ომის ხანგრძლივ წარმოებას. დღითი-დღე მტკიცდება ჩინეთის ხალხის გადაწყვეტილება იბრძოლოს საბოლოო გამარჯვებამდე. იაპონიის არმიის ეგრეთწოდებული „უძლეველობა“ ბლეფია. ჩვენ მოვსინჯეთ იაპონიის არმიის სუსტი მხარეები, და თვით ისეთმა დამარცხებებმაც კი, როგორიც არის კანტონის დაკარგვა, არ უნდა გაგვიტეხოს გული. გამარჯვება, უთუოდ, ჩინეთის ხალხს ეკუთვნის“.

საფრანგეთის დეპუტატთა პალატაში

პარიზი, 22 დეკემბერი (საკდესი). დღეს დეპუტატთა პალატაში მოხდა მთავრობისათვის ნდობის გამოცხადების კენჭისყრა. ნდობის ვოტუმი მიღებულ იქნა უმნიშვნელო უმრავლესობით. მთავრობისათვის ნდობის გამოცხადებას ხმა მისცა 291 დეპუტატმა, წინააღმდეგ—284 დეპუტატმა და ხმის მიცემისაგან თავი შეიკავა 34 დეპუტატმა.

ნდობის საკითხი მთავრობამ დააყენა ეგრეთწოდებული „საფინანსო კანონის“ მეორე მუხლის დამტკიცებასთან დაკავშირებით. ეს კანონი საფრანგეთის მშრომელებისა და მოსახლეობის საშუალო ფენებისათვის ახალი დამატებითი სავადასახადო ტვირთის დაკისრებას ითვალისწინებს.

კინკლაობა იაპონიის გენერლებს შორის

შანხაი, 21 დეკემბერი (საკდესი). იაპონიის გენერალ დოიხარასა და ჩრდილოეთით მყოფ იაპონიის არმიის საგანგებო განყოფილების უფროსს კიტას შორის განუწყვეტელი კინკლაობაა. გაზეთი „ჩაინა პრესი“ სწერს: დოიხარა ბრალსა სდებს გენერალ კიტას იმაში, რომ მან ჩაშალა „ჩინეთის ცენტრალური მთავრობის“ ორგანიზაციის გეგმა. როგორც გაზეთი იუწყება, იაპონიის გადასარჩენად ეკონომიური და ფინანსიური გაკოტრებისაგან დოიხარას საჭიროდ მიაჩნია დაიწყოს საზავო მოლაპარაკება ჩინეთის მთავრობასთან სამხედრო მოქმედების შეწყვეტის შესახებ: ამაში მას მხარს უჭერენ ჯარისკაცები და მეთაურთა უმცროსი შემადგენლობა. გენერალმა კიტამ მკაცრად გაილაშქრა დოიხარას იმ გეგმის წინააღმდეგ, რომელიც საზავო მოლაპარაკებას შეეხება. კიტას მხარი დაუჭირა არმიისა და საზღვაო ფლოტის უფროსმა სარდლობამ, რომელიც ომის განგრძობას ემხრობა.

საომარი მოქმედება ჩინეთში

(საკდესის მიერ ჩუნცინელი, შანხაელი და ლონდონელი კორესპონდენტებისაგან მიღებული ცნობების მიხედვით)

ცენტრალურ ჩინეთში

ცენტრალური ჩინეთის ფრონტებზე მნიშვნელოვან ცვლილებას ადგილი არ ჰქონია. ბრძოლებში იოჯოუს რაიონში (უხანის სამხრეთით) უკანასკნელი ორი კვირის განმავლობაში იაპონელებმა მოკლულთა და დაჭრილთა სახით დაჰკარგეს 2 ათასი კაცი, მათ რიცხვში რამდენიმე უმაღლესი რანგის ოფიცერი.

სამხრეთ ჩინეთში

კანტონის აღმოსავლეთით ჩინეთის ჯარი პარტიზანებთან ერთად განაგრძობს კონტრშეტევის განვითარებას. კანტონ-კოულუნის რკინიგზის მთელი სამხრეთი უბანი გაწმენდილია იაპონელებისაგან.

19 დეკემბერს ჩინელთა ჯარმა დაიკავა პინხუ და შეტევაზე გადავიდა შილუნის წინააღმდეგ. ერთდროულად ჩინელთა ჯარს იერიში მიაქვს ძენჩენზე.

უკანასკნელი დღეების განმავლობაში აქტივობას იჩენს, ჩინეთის ავიაცია, რომელიც გაბედულ თავდასხმებს ახდენს იაპონელთა პოზიციებზე სამხრეთ ჩინეთში. 18 დეკემბერს ჩინელთა თვითმფრინავებმა ყუმბარები დაუშინეს იაპონელთა სამხედრო ობიექტებს კანტონში. 20 დეკემბერს ჩინელთა თვითმფრინავები გაძლიერებულად უშენდნენ ყუმბარებს იაპონელთა აეროდრომს კანტონის მიდამოებში. ჩინელთა თვითმფრინავებმა იერიში მიიტანეს აგრეთვე იაპონელთა ჯარზე, რომელიც თავმოყრილი იყო სამშუის რაიონში.

შედეგები ჩიანოს მოლაპარაკებისა ბუდაპეშტში

პრაღა, 23 დეკემბერი (საკდესი). გუშინ იტალიის საგარეო საქმეთა მინისტრი ჩიანო ბუდაპეშტიდან რომში დაბრუნდა. ოფიციალური კომუნიკე ჩიანოს მოლაპარაკებისა ბუდაპეშტში გამოქვეყნებული არ არის. ჟურნალისტთა წრეებში გადმოგვცემენ, რომ ჩიანომ მიაღწია უნგრეთის მთავრობისაგან იმას, რომ:

1) უნგრეთმა სავსებით აღიარა „მეგობრობა“ „რომი-ბერლინის ღერძის“ სახელმწიფოებთან, როგორც საგარეო პოლიტიკის ძირითადი ხაზი.

2) უარი სთქვა პოლონეთ-უნგრეთის საერთო საზღვრის დაწესებაზე და შემდგომ ტერიტორიულ პრეტენზიებზე ჩეხოსლოვაკიის მიმართ;

3) პირი იბრუნა, რათა დაუახლოვდეს იუგოსლავიას, რომელიც იტალიის იმპერიალიზმის მთავარ დასაყრდენს წარმოადგენს სამხრეთ-აღმოსავლეთ ევროპაში. როგორც ვიცით, იტალია ცდილობს შექმნას რომი-ბელგრადი-ბუდაპეშტის ბლოკი (თვით პოლონეთის ჩარიცხვით), რომელიც შეიძლებოდა ბარიერი გამხდარიყო ევროპის სამხრეთ-აღმოსავლეთისაკენ გერმანიის შემდგომი წინსვლის წინააღმდეგ.

ჩიანოს მგზავრობის ერთერთ უმნიშვნელოვანეს შედეგს წარმოადგენს აგრეთვე უნგრეთის გაძლიერებული ფაშიზაცია, რომელიც ტარდება იმ მიმართულებით, რომ უნგრეთის შინაგანი სტრუქტურა დაუახლოვდეს „რომი-ბერლინის ღერძის“ სახელმწიფოთა ტიპსა და ხასიათს.

ამის ყველაზე მკაფიო დადასტურებას წარმოადგენს მთავრობისა და მისი პარტიის მიერ სწორედ ჩიანოს იქ ყოფნის დღეებში მიღებული ახალი ანტისემიტური კანონი. ახალი კანონი ითვალისწინებს ებრაელი ეროვნების პირთა მოქალაქეობრივი უფლებების შეზღუდვას. პარლამენტის არჩევნებში ებრაელი მოსახლეობა მონაწილეობას მიიღებს საერთო არჩევნების დამთავრების ერთი თვის შემდეგ. პარლამენტის დეპუტატთა შორის ებრაელები შეიძლება შეადგენდნენ მხოლოდ 6 პროცენტს, ებრაელი არ შეიძლება არჩეულ იქნას სენატში. ებრაელებს არ მიიღებენ სახელმწიფო სამსახურში. ეგრეთწოდებულ თავისუფალ პროფესიებში (ექიმი, ინჟინერი, მწერალი და სხვ.) ებრაელებს დაუშვებენ მხოლოდ 6-პროცენტიანი ნორმის ფარგლებში. ებრაელები არ დაიშვებიან ხელმძღვანელ პოსტებზე — გაზეთებში, გამომცემლობებში, თეატრებში, კინოებში. ებრაელების კუთვნილ საწარმოებში ებრაელ მუშა-მოსამსახურეთა პროცენტი არ უნდა აღემატებოდეს 12-ს. ებრაელთა საწარმოებს არ მიეცემათ სახელმწიფო დაკვეთები. საწარმოებსა და დაწესებულებებში სამსახურიდან დათხოვნილ ებრაელებს შეიძლება არ მიეცეთ კანონიერი გასასვლელი დახმარება.

ხვალ ანტისემიტური კანონი განსახილველად გადაეცემა პარლამენტს.

ბუდაპეშტიდან მიღებული ცნობით, ჩიანომ მიიღო სტოიადინოვიჩის მიწვევა და უახლოეს ხანში ბელგრადს გაემგზავრება.

საკდესის ცნობა

თევზჭერის საკითხებზე მოლაპარაკების გამო

იაპონიის ელჩს, ბ-ნ ტოგოს, ჰქონდა შემდგომი საუბრები საგარეო საქმეთა სახალხო კომისარ ამხ. მ. მ. ლიტვინოვთან თევზჭერის საქმეებზე ამა თვის 15, 17, 20 და 23 რიცხვებში. ვინაიდან პირველი სამი საუბრის დროს იაპონიის ელჩს არავითარი კონკრეტული წინადადება არ წამოუყენებია, იმეორებდა რა წინანდელ არგუმენტაციას იაპონიის მთავრობის თავდაპირველი პოზიციის სასარგებლოდ, მოლაპარაკება წინ ვერ წავიდა. 23 დეკემბერს ბ-ნი ტოგო, თავისი მთავრობის სახელით, დათანხმდა თორმეტი უბნის გამორიცხვაზე იმ უბნებიდან, რომელთა ექსპლოატაციას ამჟამად იაპონელები ეწევიან, მაგრამ მოითხოვა მათი შეცვლა სხვა, მის მიერვე ნაჩვენები უბნებით იმავე რაიონებში. ამავე დროს იგი კვლავ უარჰყოფდა წინადადებას საჯარო ვაჭრობის შესახებ. ამხ. ლიტვინოვმა უარჰყო ეს წინადადება და თავის მხრით წამოაყენა წინადადება, როგორც უკიდურესი დათმობა, გამორიცხვისათვის დასახული ორმოცი უბნიდან საჯარო ვაჭრობა გამოცხადდეს სამ უბანზე იაპონიის ზღვაში, ხოლო, გარდა ამისა, გამოცხადდეს საჯარო ვაჭრობა კიდევ შვიდ ახალ უბანზე. იმ შემთხვევაში, თუ იაპონელები საჯარო ვაჭრობით მიიღებენ ამ ათ უბანს, წინასწარ გამორიცხული აღმოჩნდებოდა მხოლოდ ოცდაათი. საჯარო ვაჭრობის პრინციპი ძალაში უნდა დარჩეს, როგორც აუცილებელი პირობა.

იაპონიის ელჩმა ეს წინადადება უარჰყო.

საკდესის ცნობა

1938 წლის 19 დეკემბერს, ბერლინში, წერილების გაცვლა-გამოცვლის საფუძველზე, რაც მოხდა სსრ კავშირის სავაჭრო წარმომადგენლობასა და გერმანიის მეურნეობის სამინისტროს შორის, საბჭოთა კავშირისა და გერმანიის შეთანხმება სავაჭრო და საგადასახდელო ბრუნვის შესახებ, რომელიც 1938 წელს მოქმედებდა, გაგრძელებულია 1939 წლისათვის.

თევზჭერის დამთავრება შორეულ აღმოსავლეთის ზღვაში

ვლადივოსტოკი, 21 დეკემბერი (საკდესი). შორეულ აღმოსავლეთის თევზის მრეწველობამ დაამთავრა ზაფხულ-შემოდგომის თევზჭერა. დაჭერილია 2.880 ათასი ცენტნერი თევზი, 178.692 ცენტნერი კიბორჩხალი, 100.658 ცენტნერი ზღვის ნადირი.

შორეული აღმოსავლეთის შეთევზეობის საწარმოები შეუდგნენ თევზის საზამთრო ჭერას.

უკანასკნელი ცნობები

გერმანია-ამერიკის ურთიერთობა

ნიუ-იორკი, 23 დეკემბერი (საკდესი). როგორც უკვე ვიუწყებოდით, 18 დეკემბერს ამერიკის შინაგან საქმეთა მინისტრი იკესი კლივლენდში (ოგაიოს შტატი) გამოვიდა სიტყვით, რომელშიაც მკაცრად დაჰგმო ებრაელთა რბევა გერმანიაში, აგრეთვე სასაცილოდ აიგდო პოლკოვნიკი ლინდბერგი და ფორდი იმისათვის, რომ მათ გერმანიის მთავრობისაგან წარჩინების ნიშნები მიიღეს. ამ სიტყვაში იკესმა კერძოდ განაცხადა, რომ ფაშისტებმა გერმანია დაუბრუნეს „იმ პერიოდს, როდესაც ადამიანი ნახევრად ცხოველი იყო“. „როგორ შეუძლია, — განაგრძო იკესმა, — რომელიმე ამერიკელს წარჩინების ნიშანი მიიღოს იმ ულმობელი დიქტატორის ხელით, რომელიც იმავე ხელით ძარცვავს და აწამებს ათასობით უდანაშაულო ადამიანებს. როგორ შეუძლიათ ამერიკელებს ატარონ წარჩინების ნიშნები, რომლებიც მათ ჩაბარებული აქვთ დაცინვით“.

გუშინ გერმანიის საქმეთა რწმუნებული ვაშინგტონში ტომფსონი ეწვია სახელმწიფო დეპარტამენტს, სადაც მან პროტესტი განაცხადა იკესის სიტყვის წინააღმდეგ და ოფიციალური ბოდიშის მოხდა მოითხოვა ამერიკის შეერთებული შტატებისაგან. სახელმწიფო მდივნის მოადგილემ უელესმა აცნობა ტომფსონს, რომ ამერიკის შეერთებული შტატები უარჰყოფენ ამ პროტესტს, რამდენადაც იკესის გამოსვლაში გამოხატულია ამერიკის შეერთებული შტატების მოსახლეობის დიდი უმრავლესობის გრძნობები.

გუშინ რუზველტმა კერძო წესით ინახულა იკესი მის რეზიდენციაში მერილენდის (ვაშინგტონის მახლობლად) შტატში. ეს თითქმის უმაგალითო შემთხვევაა, რომ ამერიკის შეერთებული შტატების პრეზიდენტი სწვევოდეს შინ კაბინეტის ერთერთ წევრს. ეს წვევა მიაჩნიათ რუზველტის ჟესტად, რომელიც იმას მოწმობს, რომ იგი მხარს უჭერს იკესს.

ყველა გაზეთი დიდი სათაურით ათავსებს ამერიკის შეერთებული შტატების მკვახე პასუხს გერმანიის მიმართ. ზოგიერთი მეთვალყურის აზრით, მალე მოსალოდნელია ამერიკის შეერთებული შტატებისა და გერმანიის დიპლომატიური ურთიერთობის შეწყვეტა. ფიქრობენ, რომ რუზველტმა მოიწონა უელესის პასუხი და მისი გამოქვეყნება პრესაში.

პეტერ ფორსტერის სიკვდილით დასჯა

პრაღა, 22 დეკემბერი (საკდესი). ჩეხოსლოვაკიის მთავრობამ გერმანიას გადასცა პეტერ ფორსტერი, ყოფილი პოლიტიკური პატიმარი, რომელიც გერმანიის საკონცენტრაციო ბანაკიდან გაიქცა 1938 წლის 13 მაისს და ჩეხოსლოვაკიაში იმალებოდა. ფორსტერი გერმანიის ხელისუფალთ გადაეცა 19 დეკემბერს. ჩეხოსლოვაკიიდან იგი გადაყვანილ იქნა ქალაქ ვაიმარის საპატიმროში. გუშინ ფორსტერი ფაშისტთა საგანგებო სასამართლოს წინაშე წარსდგა.

მეორე პატიმარი ემილ ბარგაცკი, რომელიც ფორსტერთან ერთად გაიქცა საკონცენტრაციო ბანაკიდან, გერმანიის ტერიტორიაზევე დააპატიმრეს და მაშინვე სიკვდილით იქნა დასჯილი.

ბერლინი, 22 დეკემბერი (საკდესი). ჩეხოსლოვაკიის მთავრობის მიერ გერმანიისათვის გადაცემულ პოლიტიკურ პატიმარ პეტერ ფორსტერს 21 დეკემბერს მიესაჯა სიკვდილით დასჯა და, როგორც „ფელკიშერ ბეობახტერი“ იუწყება, ეს განაჩენი იმ დღესვე მოიყვანეს სისრულეში.

შრომის წიგნაკი—შრომის მოყვარეობის, სამშობლოსადმი ერთგულების საბუთია

მივესალმებით მთავრობის დადგენილებას

თბილისის მოლოტოვის სახელობის ავეჯეულობის ქარხნის მუშა-მოსამსახურეები და სტახანოველები დიდი ინტერესით გავეცანით სსრ კავშირის სახალხო კომისართა საბჭოს 20 დეკემბრის დადგენილებას შრომის წიგნაკების შემოღების შესახებ.

ამ დადგენილებას უდიდესი მნიშვნელობა აქვს წარმოებასა და დაწესებულებებში მუშა-მოსამსახურეების აღრიცხვის მოწესრიგებისა და საწარმოო დისციპლინის შემდგომი განმტკიცების საქმეში. ეს დადგენილება დაგვეხმარება უფრო ენერგიულად ვიბრძოლოთ წარმოების დეზორგანიზატორების, წამგლეჯების, გამცდენების, ფრენიების და მათი მფარველების წინააღმდეგ.

ფრენიობასა და თაღლითობას ჩვენს ქარხანაშიც ჰქონდა ადგილი. მარტო 1938 წლის განმავლობაში ჩვენს ქარხანაში 100-ზე მეტი მუშა მოვიდა და ისევ წავიდა. ერთი წარმოებიდან მეორეში მუშების ხშირ დენადობას ხელს უწყობდა ისიც, რომ სათანადო სიმაღლეზე არ იდგა მუშათა აღრიცხვის საქმე, ბევრ მათგანს შრომის წიგნაკი არ ჰქონდა შევსებული.

ჩვენ, ქარხნის სტახანოველები, უდიდესი ენტუზიაზმით მივესალმებით საბჭოთა მთავრობის ამ დადგენილებას, ყოველმხრივ დავეხმარებით ქარხნის ადმინისტრაციას მუშა-მოსამსახურეთა აღრიცხვის მოწესრიგებაში, საწარმოო დისციპლინის განმტკიცებაში, წარმოებიდან წამვლეჯებისა და ორგულების განდევნაში, სტახანოველთა ახალი კადრების გამოვლინებაში.

შ. ნეფარიძე, ვ. ბიგაური, ვ. სკანდარიანი.

თბილისის მოლოტოვის სახელობის ავეჯეულობის ქარხნის სტახანოველები.

შევქმნათ მტკიცე დისციპლინა

ჩვენი ბრიგადა დიდი ყურადღებითა და უდიდესი კმაყოფილებით გაეცნო მთავრობის დადგენილებას „შრომის წიგნაკების შემოღების შესახებ“ სახელმწიფოს ყველა წარმოებისა და დაწესებულების მუშათა და მოსამსახურეთათვის. ამჟამად მუშაკის დაქირავების დროს, ჩვეულებრივად მოკითხავენ ხოლმე ცნობას უკანასკნელი მუშაობის ადგილიდან. პრაქტიკა გვიჩვენებს, რომ ეს ვერ იცავს წარმოებას გაუსწორებელი გამცდენლებისა და ფრენიების შემოჭრისაგან. რამდენიმე თვის წინათ ჩვენთან საქვაბე საამქროში სამუშაო ითხოვა სამმა მექვაბემ — ყარიაგინმა, კოლესნიკოვმა და ვორონინმა, რომლებიც წინათ ანძმშენებლობაში მუშაობდნენ. მათ მიერ წარმოდგენილ ცნობებში ისეთი არაფერი იყო აღნიშნული, რასაც შეეძლო სახელი გაეტეხა მათი მუშაობისათვის წარსულში. კარიაგინი, კოლესნიკოვი და ვორონინი სამუშაოზე მიიღეს. მათ წაიმუშავეს ჩვენთან მხოლოდ 2 თვე და მოულოდნელად წავიდნენ. შემდეგ გავიგეთ, რომ სამივენი გაუსწორებელი ფრენიები და გამცდენები არიან და „გადიდებული მანეთის“ მოსაპოვებლად მომთაბრობენ წარმოებიდან წარმოებაში.

— შეიძლებოდა მოგვეყვანა ბევრი მაგალითი იმისა, თუ როგორ იღებენ სამუშაოზე ფრენიებს, გამცდენებსა და წარმოების დეზორგანიზატორებს მხოლოდ იმიტომ, რომ მათს წარსულ მუშაობას არ იცნობდა ქარხნის ადმინისტრაცია. შრომის წიგნაკი ასახავს მუშისა და მოსამსახურის ზრდას — მის დამოკიდებულებას შრომისადმი. წიგნაკი არის საიმედო იარაღი მაღალი სოციალისტური დისციპლინისათვის, შრომის სტახანოვური ნაყოფიერებისათვის ბრძოლაში, წესრიგის დამყარებისათვის ფაბრიკებში, ქარხნებსა და დაწესებულებებში, წიგნაკი დაიცავს წარმოებას ფრენიებისაგან და გაუსწორებელი გამცდენებისაგან. შრომის წიგნაკების შემოღება აღაფრთოვანებს სამშობლოსადმი თავდადებულ მუშაკებს ახალი საწარმოო გმირობისათვის, რადგან თვითეულ პატიოსან მუშას და მოსამსახურეს, სადაც უნდა მუშაობდეს იგი ჩვენს დიად ქვეყანაში, ეცოდინება, რომ მისი შრომა შეუმჩნეველი არ დარჩება და სავსებით დაფასებული იქნება. ჩვენ სიტყვას ვიძლევით, რომ ყოველნაირად შევებრძოლებით ფრენიებს, წარმოების დეზორგანიზატორებს და სავსებით დავტვირთავთ 7-საათიან სამუშაო დღეს, რომელიც ყველაზე უფრო მოკლე სამუშაო დღეა მსოფლიოში.

სელიხოვი

სტალინის სახელობის ორთქლმავალ-ვაგონსარემონტო ქარხნის საქვაბე საამქროს პირველი კომპლექსური ბრიგადის უფროსი.

ქებაძე

ბრიგადის ჯგუფის ხელმძღვანელი.

ფრენიებს ადგილი აღარ ექნებათ წარმოებაში

№ 2 სამკერვალო ფაბრიკის კოლექტივი დიდი კმაყოფილებით შეხვდა სსრ კავშირის სახკომსაბჭოს დადგენილებას „შრომის წიგნაკების შემოღების შესახებ“. ამან გაცხოველებული გამოძახილი გამოიწვია მუშათა შორის.

— შრომის წიგნაკი გამოჰხატავს თვითეული მუშის სახეს, ჩამორჩენილებს იძულებულს გახდის მოიკრიბონ ძალა, გამოამჟღავნებს წარმოების ფრენიებსა და დეზორგანიზატორებს და ამით დაგვეხმარება მოვახდინოთ მუშა-ხელის დენადობის ლიკვიდირება, — ლაპარაკობს საამქროს ცვლის ოსტატი რინენბერგი, რითაც იგი მუშების საერთო აზრს გამოხატავს.

— ჩვენს საამქროში, — ლაპარაკობს სტახანოველი ქალი თამარ სიხარულიძე, — ცოტა როდია დისციპლინის დარღვევის შემთხვევა, შეუგნებელი დამოკიდებულება სახელმწიფოს ინტერესებისადმი. ჩვენთან, საამქროში გამოგზავნეს მუშა ქალი არუსიაკ ოსიპოვა, რომელმაც წაიმუშავა მხოლოდ 9 დღე და შემდეგ დეკრეტულ შვებულებაში წავიდა. ასევე მოიქცა მუშა ქალი გოგუა.

სოციალისტური შრომის ოსტატმა ამხ. არამ ნარინიანმა სთქვა, რომ შრომის წიგნაკების შემოღება დაეხმარება წარმოებას კადრების დამაგრებაში და ამით აამაღლებს შრომის ნაყოფიერებას.



მიმდინარე წლის ნოემბერში თბილისს ეწვია უკრაინის სსრ მშრომელთა დელეგაცია. **სურათზე:** დელეგაციის წევრები (მარცხნიდან-მარჯვნივ): პ. ვ. გრიშენკო — კიევის ოლქის კაგანოვიჩის სახელობის კოლმეურნეობის ორდენოსანი მწველავი; ქ. ს. კუშნარენკო — ოქტომბრის რევოლუციის სახელობის ორთქლმავალმშენებელი ქარხნის შემფასებელი; გ. ქ. კოვალევა — დნეპროპეტროვსკის ოლქის სტალინის სახელობის კოლმეურნეობის რგოლის ხელმძღვანელი.

(„სოიუზფოტოს“ საქ. განყ.)

სოციალისტური შეჯიბრება ახალი ძალით ჩაღდება

ჩვენი ვალდებულებანი

სიღნაღის რაიონის სოფელ ბოდბის ორჯონიკიძის სახელობის კოლმეურნეობის წევრებმა დიდი ყურადღებით და ინტერესით წავიკითხეთ 11 დეკემბრის გაზეთ „კომუნისტში“ თბილისის რაიონის ორთაჭალის ფ. მახარაძის სახელობის კოლმეურნეობის წევრთა წერილი-მოწოდება — პირველი მაისის დღესასწაულზე უკრაინაში გასაგზავნ დელეგაციაში მონაწილეობის უფლების მოპოვებისათვის სოციალისტური შეჯიბრების გაშლის შესახებ.

სოფელ ბოდბის ს. ორჯონიკიძის სახელობის კოლმეურნეობა სიხარულით ღებულობს ამ გამოწვევას და კისრულობს შემდეგ ვალდებულებას:

შემოდგომის ხორბალი, ნაცვლად მიმდინარე წლის 11 ცენტნერისა საშუალოდ ჰექტარზე, 1939 წელს მივიღოთ 16 ცენტნერი. ქერი, ნაცვლად 10 ცენტნერისა — 14 ცენტნერი, მზესუმზირა, ნაცვლად 9 ცენტნერისა — 11 ცენტნერი. სიმინდის მოსავალი ავიყვანოთ ურწყავში 20 ცენტნერამდე.

ახალი ვენახი, ნაცვლად გეგმით გათვალისწინებული 4 ჰექტარისა, 1939 წელს გავაშენოთ 7 ჰექტარზე.

მესაქონლეობაში — ცხვრის სულადობა ფერმებში, ნაცვლად ახლანდელი 4.200 სულისა, ავიყვანოთ 4.700 სულამდე. ყოველ 100 დედა-ცხვარზე უზრუნველვყოთ ნამატის გაზრდა 95 სულის რაოდენობით.

მატყლის გამოსავლიანობა თვითეულ მოზრდილ თუშურ ცხვარზე ავიყვანოთ საშუალოდ 2,8 კილოგრამამდე, ნაცვლად მიმდინარე წლის 2,6 კილოგრამისა. თვითეულ მეწველ ცხვარზე, ნაცვლად მიმდინარე წლის 3,5 კილოგრამისა, 1939 წელს უზრუნველვყოთ 4 კილოგრამი საუკეთესო ხარისხის ყველის მიღება.

1938 წელს არსებულ 32 მაკე ფაშატისაგან გავზარდოთ და შევინარჩუნოთ 30 კვიცი.

მეცხვარეობის და მეცხენეობის ფერმების მთელი სულადობა 1939 წელს უზრუნველვყოთ კულტურული ბინებით.

1939 წლისათვის სარაიონო სკოლის საშუალებით მეცხოველეობის ფერმების მომსახურებისათვის მოვამზადოთ კოლმეურნეობის 4 წევრი ვეტტექნიკოსისა და ზოოტექნიკოსის სპეციალობაზე.

ვადაზე და პირნათლად შევასრულოთ ყველა სახელმწიფო ვალდებულება.

ფართოდ ჩავაბათ კოლმეურნენი თავდაცვა-ავიაქიმის წრეებში.

მომავალი წლისათვის უზრუნველვყოთ კურსების საშუალებით 3 ბრიგადირის მომზადება.

სიღნაღის რაიონის სოფელ ბოდბის ორჯონიკიძის სახელობის კოლმეურნეობის წევრთა დავალებით: თურმან ტარუაშვილი (კოლმეურნეობის თავმჯდომარე), ბრიგადირები: **იოსებ გოჩიტაშვილი, აბრამ ლეკიაშვილი, იოსებ გოჩიტაშვილი, პართენ გოჩიტაშვილი.** სტახანოველები: **იოსებ ბალარჯაშვილი, მიშა გოჩიტაშვილი, ვასო ლეკიაშვილი.**

ჩვენი პასუხი

საკოლმეურნეო შრომამ დიღმელი გლეხების ცხოვრება საამური გახადა. სამუდამოდ გაჰქრა ის დრო, როდესაც დიღმელი გლეხები დაძრწოდნენ ძველი თბილისის ქუჩებში და დაჰქონდათ გუდურებით შეშა, მწვანილი, ნახშირი და სხვ. დიღმელი კოლმეურნე გლეხების ცხოვრება ისევე საამურია, როგორც საამურია მთელი საბჭოთა კავშირის კოლმეურნე გლეხობის ცხოვრება.

ჩვენ, თბილისის რაიონის სოფ. დიღმის ლენინის სახელობის კოლმეურნეობის წევრები, ორთაჭალის (თბილისის რაიონი) ფ. მახარაძის სახელობის კოლმეურნეობის წევრთა მოწოდების საფუძველზე ვებმებით სოციალისტურ შეჯიბრებაში უკრაინაში გასაგზავნ დელეგაციაში მონაწილეობის უფლების მოპოვებისათვის და ვკისრულობთ:

1939 წელს დავთესოთ ხორბალი 280 ჰექტარზე, ნაცვლად მიმდინარე წლის 248 ჰექტარისა. მოსავალი ავიყვანოთ ჰექტარზე საშუალოდ 15 ცენტნერამდე, ნაცვლად მიმდინარე წლის 11 ცენტნერისა. სიმინდის ფართობი 10 ჰექტარიდან გავადიდოთ 20 ჰექტარამდე. ხოლო მოსავალი ავიყვანოთ საშუალოდ 20 ცენტნერამდე, ნაცვლად მიმდინარე წლის 14 ცენტნერისა.

ჰექტარზე მივიღოთ 17 ტონა ბოსტნეული.

1939 წელს გავაშენოთ ხეხილის ბაღები 20 ჰექტარზე, ნაცვლად მიმდინარე წლის 9 ჰექტარისა.

მოვამზადოთ ახალი კადრები, პირველ რიგში 5 კაცის რაოდენობით, აქედან: 2 აგროტექნიკოსი, 2 ტრაქტორისტი და 1 კომბაინერი.

ვადაზე და პირნათლად შევასრულოთ ყველა ვალდებულება სახელმწიფოს წინაშე.

აქტიური მონაწილეობა მივიღოთ სოფელ ლისის აგარაკიდან დიღომში წყლის გამოსაყვანად.

ჩავაბათ კოლმეურნეობის ყველა წევრი თავდაცვა - ავიაქიმისა და ვოროშილოველ მსროლელთა წრეებში.

თბილისის რაიონის სოფ. დიღმის ლენინის სახელობის კოლმეურნეობის წევრთა დავალებით: დ. მარიამული (კოლმეურნეობის თავმჯდომარე), **ბარბარე ბერიაშვილი** (საქ. სსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატი), **კოლმეურნეობის ბრიგადირები და სტახანოველები: მ. ვეროშვილი, ა. ასატუროვი, ა. ბერიაშვილი, მ. გილაური.**

განვამტკიცოთ სოციალისტური შრომის დისციპლინა

საამქროს უფროსის ავტორიტეტისა და უფლებების შესახებ

საამქროს უფროსი ფაბრიკაში დასაყრდენ ძალას წარმოადგენს. თუ ფაბრიკის ორგანიზაციებსა და საამქროს უფროსს შორის შეთანხმებული მუშაობა სწარმოებს, იქ მტკიცეა შრომის დისციპლინა და მაღალია საწარმოო მაჩვენებლები.

მე თბილისის ფეხსაცმლის ახალი ფაბრიკის შემკრებ საამქროს უფროსად ვმუშაობ 1935 წლიდან, და გამოცდილებით ვიცი, თუ როგორ შეიძლება მივაღწიოთ შრომის მტკიცე დისციპლინას საამქროში. სამწუხაროდ, უნდა ითქვას, რომ ქარხნის კომკავშირული და პროფკავშირული ორგანიზაციები ზოგჯერ დახმარების მაგივრად, შეგნებით თუ შეუგნებლად, ხელს უშლიან საამქროს უფროსს დისციპლინის განმტკიცებისათვის ბრძოლაში.

მეოთხე კონვეიერზე მომუშავე ხაჩიკ არუთინოვი ხშირად არღვევდა წესრიგს; სტეხდა აყალმაყალს მუშაობის დროს, იგინებოდა, ჩაქუჩს ესროდა „მოწინააღმდეგეს“. მრავალი გაფრთხილების მიუხედავად, იგი ისევ იმეორებდა თავის უმსგავსო საქციელს, რისთვისაც მოვხსენით ბრძანებით.

არუთინოვმა „უკანონოდ“ მოხსნა გაასაჩივრა პროფორგანიზაციაში და ამ უკანასკნელის შუამდგომლობით იგი აღდგენილ იქნა სამუშაოზე. გამედიდურებულმა არუთინოვმა უფრო გააძლიერა დეზორგანიზაციის შეტანა მუშებში. მუშების მოთხოვნით იგი კვლავ მოხსნილ იქნა სამუშაოდან. რამდენიმე დღის ხეტიალის შემდეგ, საქმეში ისევ პროფკავშირული ორგანიზაციის ჩარევით, არუთინოვი კვლავ დაბრუნებულ იქნა სამუშაოზე. ამით უფრო გათამამდა. 5 დღე ყოველგვარი ნებართვის გარეშე უმიზეზოდ გააცდინა. ისეირნა... მოთმინებიდან გამოსულმა კვლავ მოვხსენი იგი ადმინისტრატიული წესით... არუთინოვი ისევ თავის ადგილზე მუშაობს.

დამზადების მე-4 კონვეიერის მუშას პოლოსოვს მუშაობისას ხარისხის გაუმჯობესების საკითხზე შეეკამათა კონვეიერის უფროსი ამხ. კლევცოვა. პოლოსოვმა უფროსს პასუხად ჩაქუჩი მიარტყა შუბლზე. პოლოსოვს მივეცით საყვედური და გადავიყვანეთ სხვა კონვეიერზე. იქ კი ხის კოლოფი ესროლა უფროსს. მოვხსენით იგი სამუშაოდან. მან აინუნშიაც არ ჩააგდო ჩვენი სასჯელი. დაიმედებულმა იმით, რომ მას აუცილებლად აღადგენდნენ, რამდენიმე დღე ისეირნა, მერე გაასაჩივრა ფაბკომში და წადილიც აუსრულეს.

ბოლოს და ბოლოს, რაშია საქმე? ფაბრიკა საქველმოქმედო დაწესებულება ხომ არ არის! ან საამქროს უფროსი უბრალო რეგისტრატორი ხომ არ არის, რომ მის განკარგულებებს ყურადღება არ მიაქციონ ფაბრიკისა და საამქროს ორგანიზაციებმა! სად არის აქ საამქროს უფროსის უფლება და ავტორიტეტი? ასეთი ლიბერალობით საქმე იქამდე მიდის, რომ საამქროს უფროსის ბრძანებებს ეკარგება ღირებულება და ავტორიტეტი; ყოველივე ეს კი ზრდის უდისციპლინობასა და დეზორგანიზაციას საამქროში.

ამასთან ერთად ხელს გვიშლის ბიულეტენების არაწესიერად გაცემა მუშებზე. ამასწინათ ჩვენი საამქროს მე-3 კონვეიერის მუშამ აგაბეგოვმა და მე-4 კონვეიერის ხელმძღვანელმა არტაშა ხიზანოვმა გააცდინეს სამუშაო დღეები, პირველმა — 3 და მეორემ — 8 დღე. ორივემ წარმოადგინა ბიულეტენები. შემოწმების დროს აგაბეგოვს აღმოაჩნდა მარცხენა ხელის თითზე უმნიშვნელო დაზიანება, ხოლო ხიზანოვს მუწუკი ხელის გულზე.

მე შემომაქვს წინადადება, ქარხნის ექიმმა არავის არ მისცეს ბიულეტენი, თუ ის მძიმე ავადმყოფი არ არის. უკიდურეს შემთხვევაში გააფრთხილოს საამქროს უფროსი, რათა ავადმყოფი გადაიყვანოს მსუბუქ სამუშაოზე. ბიულეტენზე ფულის გაცემა შემცირებულ იქნას 25 პროცენტით, ხოლო თუ 100 პროცენტით მიეცემა, მიეცეს თანრიგის მიხედვით.

დასასრულ ერთი საკითხიც... ჩვენში ადგილი ჰქონდა შემდეგ გარემოებას: ხშირი გაცდენების გამო გადამჭიმველი მუშა თ. მანუკოვი მოვხსენით სამუშაოდან. რამდენიმე ხნის შემდეგ იგი პირველ საამქროში აღადგინეს.

მესამე კონვეიერის მუშამ მამედოვმა თვითნებურად დატოვა სამუშაო, იგი 5 თვეს არ სჩანდა. ბოლოს ისევ დაუბრუნდა სამუშაოს, ისევ წავიდა... ორი კვირის შემდეგ იგი პირველ საამქროში აღმოჩნდა.

მე ვფიქრობ: როცა მუშა თვითნებურად სტოვებს სამუშაოს ან ხსნიან სამუშაოდან, მას იმედი არ უნდა ჰქონდეს იმავე ფაბრიკის რომელიმე სხვა საამქროში აღდგენისა. ამით ჩვენ ავამაღლებთ საამქროს უფროსის ავტორიტეტს, გავზრდით მის უფლებებს, ბოლოს მოვუღებთ ფრენიობას და გაცდენებს, განვამტკიცებთ სოციალისტური შრომის დისციპლინას.

გ. მკერვალიძე.

თბილისის ფეხსაცმლის ახალი ფაბრიკის მეორე შემკრები საამქროს უფროსი.

წავახალისოთ წარმოების ერთგულნი

26 კომისრის სახელობის ქარხანა ერთერთი ყველაზე დიდი მანქანათმშენებელი ქარხანაა თბილისში. ამ ქარხანაში ვმუშაობ მეც და ვმეთაურობ მღარავ (საფრეზერო) დაზგებზე მომუშავეთა ბრიგადას. ბრიგადაში 17 კაცი ვართ. ვამზადებთ და ვუშვებთ აბრეშუმის და საფეიქრო მრეწველობისათვის საჭირო ახალი კონსტრუქციის ძაფსახვევ მანქანებს. უკვე დავამზადეთ და გავუშვით თითქმის ორი ათეული მანქანა. ამ მანქანებით ახლად იარაღდება ჩვენი საფეიქრო მრეწველობა. ამით ის მინდა ვთქვა, რომ ჩვენი ბრიგადის კარგად და გამართულად მუშაობას დიდი მნიშვნელობა აქვს ქვეყნისათვის. მაგრამ, როგორც საჭიროა ისე ვერ ვმუშაობთ, ხშირად გვაქვს გაცდენები.

ჩვენი გაცდენების მიზეზი ის არის, რომ მეზობელი სამსხმელო საამქრო, რომელიც ჩვენ ამ მანქანების გამოსაშვებად საჭირო დეტალებს გვაწოდებს, დეტალებს ვერ გვაძლევს საკმაო რაოდენობით. რატომ, რა უშლის ხელს? ხელს უშლის ის გარემოება, რომ თავიდან ვერ მოუშორებია ზოგიერთი თაღლითი. ამ საამქროში მუშაობს, მაგალითად, მუშა მირზოევი. როცა იოლი და მარტივი დეტალებია დასამზადებელი, როცა ამ დეტალებზე მუშაობა „ხელსაყრელია“, მაშინ მირზოევი მუშაობს, ხოლო როგორც კი საამქროში რთული დეტალების დამზადებაზე გადავლენ, მირზოევი „ავად ხდება“ და ბიულეტენის მიღებას ახერხებს. კიდევ გამოჩნდება საამქროში „ხელსაყრელი“ სამუშაო და მირზოევიც კვლავ ქარხანაშია. ასე მეორდება ხშირად და ვინაიდან მირზოევისთანანი კიდევ არიან, ხშირად სამსხმელო საამქრო ვერ ახერხებს ჩვენთვის დეტალების საკმაო რაოდენობით მიცემას.

შრომის დისციპლინის დარღვევის მაგალითები ჩვენს ქარხანაში, სამწუხაროდ, ხშირია. უბედურება ისაა, რომ დისციპლინის დამრღვევნი პოულობენ მფარველებს, თავის ინტერესთა დამცველებს ადგილობრივ პროფკავშირშიაც და ქარხნის მუშათა მომსახურე მედპერსონალშიაც.

მე აუცილებლად მიმაჩნია შემოღებულ იქნეს წესად, რომ თუ რომელიმე მუშა შემჩნეულია ბიულეტენის თაღლითურად მიღებაში რამდენჯერმე, საგულდაგულოდ გამოიკვლიონ მისი საქმე და მოაშორონ იგი წარმოებას. გარდა ამისა, ყველაფერში უპირატესობა უნდა ეძლეოდეთ წარმოების ერთგულ მუშებს. მაგალითად, ჩვენთან ხშირად აწყობენ ექსკურსიებს სხვადასხვა ღირსშესანიშნავი ადგილების დასათვალიერებლად. ასეთ ექსკურსიაზე პირველ რიგში წარმოების ერთგულნი უნდა წაიყვანონ, მათ კი, ვინც სამუშაო გააცდინა, ვინც ითაღლითა, — უარი უნდა უთხრან. ასევე უნდა მოიქცნენ თეატრებში წასასვლელი ბილეთების დარიგებისას, დასასვენებელ სახლებში მუშების გასაგზავნად საგზურების განაწილებისას და სხვ.

შ. შენგელია.

26 კომისრის სახელობის ქარხნის სახარატო საამქროს ბრიგადირი.

მარქსისტულ-ლენინური თეორიით შევაიარაღოთ მეცნიერული კადრები

საბჭოთა ინტელიგენცია შეუდგა საკავშირო კომუნისტური პარტიის (ბოლშევიკების) ისტორიის სისტემატურად და ღრმად შესწავლას. იგი უდიდეს ინტერესს იჩენს მარქსიზმ-ლენინიზმის შესწავლისადმი. ამას მოწმობს ხალხით გაჭედილი აუდიტორიები ყველგან, სადაც იკითხება ლექციები, მოხსენებები მარქსისტულ-ლენინური თეორიის საკითხებზე. მკაფიო მაგალითი: ლექციები საკ. კ. პ. (ბ) ისტორიიდან, რომლებიც მოსკოვის მეცნიერთა სახლში იმართება; მეცნიერ მუშაკთა უდიდეს აუდიტორიას იზიდავს.

15 ათასამდე პროფესორი და დოცენტი ითვლება საბჭოთა კავშირის უმაღლეს სასწავლებლებში. მათი დიდი უმრავლესობა საბჭოთა ხელისუფლების დროს გახდა მეცნიერების მოღვაწე. 10 ათასზე მეტი ასპირანტი ემზადება იმისთვის, რომ უახლოეს წლებში შესდგან ფეხი მეცნიერებაში, როგორც სრულუფლებიანმა მუშაკებმა. ეს არის სიამაყე საბჭოთა ქვეყნისა, რომელმაც შესძლო აღეზარდა, გამოეზარდა თავისი საკუთარი მეცნიერული კადრები.

ამხანაგი სტალინი, კრემლში, უმაღლესი სკოლის მუშაკთა მიღებაზე წარმოთქმულ სიტყვაში, ლაპარაკობდა იმ მოწინავე მეცნიერების განმასხვავებელ თავისებურებებზე, რომლის გაფურჩქვნისათვისაც უნდა იბრძოდეს საბჭოთა მეცნიერი მუშაკების მთელი არმია.

„მეცნიერების აყვავებისათვის, იმ მეცნიერებისა, რომელიც ხალხს კი არ ემიჯნება, ხალხისაგან შორს კი არ უჭირავს თავი, არამედ მზად არის ემსახუროს ხალხს, მზად არის გადასცეს ხალხს მეცნიერების ყველა მონაპოვარი, რომელიც მომსახურებას უწევს ხალხს არა იძულებით, არამედ ნებაყოფლობით. ხალისით.

„მეცნიერების აყვავებისათვის, იმ მეცნიერებისა, რომელიც თავის ძველ და აღიარებულ ხელმძღვანელებს საშუალებას არ აძლევს მეცნიერების ქურუმთა ნაჭუჭში, მეცნიერების მონოპოლისტთა ნაჭუჭში თვითკმაყოფილებით ჩაიკეტონ, რომელსაც ესმის მეცნიერების ახალგაზრდა მუშაკებთან მეცნიერების ძველ მუშაკთა კავშირის აზრი, მნიშვნელობა, ყოვლისშემძლებლობა, რომელიც მეცნიერების ყველა კარს ნებაყოფლობითა და ხალისით უღებს ჩვენი ქვეყნის ახალგაზრდა ძალებს და შესაძლებლობას აძლევს მათ დაიპყრონ მეცნიერების მწვერვალები, რომელიც სცნობს, რომ მომავალი ეკუთვნის მეცნიერ ახალგაზრდობას.

„მეცნიერების აყვავებისათვის, იმ მეცნიერებისა, რომლის მუშაკებს, ესმით რა მეცნიერებაში დამკვიდრებულ ტრადიციათა ძალა და მნიშვნელობა და ოსტატურად იყენებენ რა მათ მეცნიერების ინტერესებისათვის, მაინც არ სურთ იყვნენ ამ ტრადიციათა მონები, რომელსაც შესწევს მამაცობა, გამბედაობა დაამსხვრიოს ძველი ტრადიციები, ნორმები, მიზანდასახულობანი, როდესაც ისინი მოძველებული ხდებიან, როდესაც ისინი წინსვლის მუხრუჭად იქცევიან, და რომელსაც შესწევს უნარი შექმნას ახალი ტრადიციები, ახალი ნორმები, ახალი მიზანდასახულობანი“. (სტალინი).

მოწინავე მეცნიერებისათვის მებრძოლთ მშვენივრად აქვთ გათვალისწინებული, რომ მარქსისტულ-ლენინური თეორიის დაუფლება განუზომლად აფართოვებს მათს მეცნიერულ ჰორიზონტს, აძლევს მათ ფაქტების, მოვლენების განზოგადების, მეცნიერული წინასწარგანჭვრეტის ძალას და უნარს. რადგან მარქსიზმ-ლენინიზმი, როგორც თეორია, ზუსტსა და უმაღლეს მეცნიერულობას შინაგანად და განუყოფლად აერთიანებს რევოლუციურობასთან. რადგან დიალექტიკა — ეს არის „მოძღვრება განვითარების შესახებ მისი ყველაზე სრული, ღრმა და ცალმხრივობისაგან თავისუფალი სახით, მოძღვრება ადამიანის ცოდნის შედარებითობის შესახებ, იმ ცოდნისა. რომელიც გვაძლევს მუდამ განვითარების პროცესში მყოფი მატერიის ანარეკლს“. (ლენინი).

მეცნიერების განვითარებისათვის დიალექტიკური მეთოდის დიდ მნიშვნელობაზე ამ ცოტახნის წინათ სწერდა აკადემიკოსი ვ. რ. ვილიამსი, რომელიც ილაშქრებდა აგრონომიული მეცნიერების იმ მუშაკთა ვიწრო, ცალმხრივი მცდელობის წინააღმდეგ, რომელნიც არ ითვალისწინებენ, რომ მცენარის სიცოცხლის ყველა პირობა და ფაქტორი ერთმანეთთან ორგანიულად არის დაკავშირებული. „პრავდაში“ მოთავსებულ თავის სტატიაში პროფ. ნ. ნ. ბურდენკო ლაპარაკობდა სამედიცინო მეცნიერებისათვის დიალექტიკური მეთოდის მნიშვნელობაზე. „დიალექტიკურმა მეთოდმა, — სწერდა ის, — ჩვენ გვასწავლა ისე განვიხილოთ ადამიანის ორგანიზმი, როგორც ერთიანი მთელი, რომელიც შინაგან და გარეშე ფაქტორებს უპასუხებს ურთულესი ცვლილებებით ყველა თავის შემადგენელ ნაწილში. მან ასწავლა საბჭოთა მეცნიერებს განიხილონ ავადმყოფობა, როგორც არა ადგილობრივი დაავადება. არამედ მთელი ორგანიზმის ასპექტით“.

მარქსისტულ-ლენინური თეორიის დაუფლება მეცნიერების მუშაკებს შესაძლებლობას აძლევს გაიაზრონ და გაიგონ ბუნების განვითარების კანონები და საზოგადოების განვითარების კანონები, ერთიან მწყობრ სისტემად ჩამოაყალიბონ თავისი მეცნიერული ცოდნა, მიაღწიონ ცოდნის მწვერვალებს, საიდანაც სამყაროს გაგება შეიძლება ყველაზე უფრო მეტი ყოვლისმომცველობით, მაშასადამე, ყველაზე უფრო სრულად და უტყუარად. დიალექტიკური მეთოდი შესაძლებლობას გვაძლევს თვითეულ მეცნიერებაში, ცოდნის თვითეულ დარგში ვიპოვოთ ყველაზე უფრო ტიპური, მნიშვნელოვანი, არსებითი, ვიპოვოთ ჯაჭვის ის რგოლი, რომლის ხელისჩაჭიდებითაც შეიძლება მთელი ჯაჭვის ამოღება. მეცნიერების ყველა მუშაკი დაუცხრომლად უნდა სწავლობდეს მარქსისაგან, ენგელსისაგან, ლენინისაგან, სტალინისაგან — მატერიალისტური დიალექტიკის უბადლო, ბრწყინვალე ოსტატებისაგან.

მარქსისტულ-ლენინური თეორიის დაუფლება მეცნიერების თვითეულ მუშაკს შესაძლებლობას აძლევს იმ დარგში, რომელშიც იგი მუშაობს, დასახოს განვითარების პერსპექტივები, ღრმად შეიცნოს მოვლენათა არსი. „დიალექტიკური მეთოდისათვის, — ნათქვამია „საკ. კ. პ. (ბ) ისტორიის მოკლე კურსში“, — უწინარეს ყოვლისა მნიშვნელოვანია არა ის, რაც ამჟამად მტკიცედ გვეჩვენება, მაგრამ უკვე კვდომას იწყებს, არამედ ის, რაც წარმოიშვება და ვითარდება, თუნდაც იგი ახლანდელ მომენტში არამტკიცედ გამოიყურებოდეს, ვინაიდან ამ მეთოდის მიხედვით დაუძლეველია მხოლოდ ის, რაც წარმოიშვება და ვითარდება“.

მარქსისტულ-ლენინური თეორია — ეს არის სახელმძღვანელო რევოლუციური მოქმედებისათვის, ეს არის სამყაროს გარდამქმნელი თეორია. ამ თეორიის საფუძველზე ვაშენებთ ჩვენ სსრ კავშირში კომუნისტურ საზოგადოებას, ისეთ საზოგადოებრივ წყობილებას, როგორიც ჯერ არ ნახულა კაცობრიობის ისტორიაში, წყობილებას, სადაც მეცნიერება და ტექნიკა სულ უფრო და უფრო მეტ აყვავებას აღწევენ.

დიდია საბჭოთა მეცნიერების მოღვაწეთა პასუხისმგებლობა, მათი როლი და მნიშვნელობა კომუნიზმის მშენებლობაში.

სოციალიზმის ქვეყნისათვის საჭიროა მეცნიერთა ისეთი კადრები, რომელთაც აქვთ ფართო ჰორიზონტი, რომელნიც შორს ხედავენ, რომელთაც შეუძლიათ კომპლექსურად, ყოველმხრივად გადასჭრან ამოცანები და რომელნიც, მაშასადამე, ფილოსოფიურად განათლებულნი არიან. მარქსისტულ-ლენინური თეორია ყველაზე მოწინავე თეორიაა მსოფლიოში. ვინაიდან იგი შესაძლებლობას გვაძლევს განვიხილოთ ბუნება და საზოგადოება არა ვიწროდ, ცალმხრივად, არამედ ფართოდ, მთელ სირთულესა და მრავალფეროვანებაში, დაპირდაპირებათა ურთიერთ კავშირში, მოძრაობაში, განვითარებაში, გადასვლებში.

ამავე დროს კი, მარქსისტულ-ლენინური თეორიის სუსტი ცოდნის გამო, ბევრ ჩვენს მეცნიერ მუშაკს ყოველთვის როდი შესწევს უნარი გამოიცნოს და ამხილოს ყოველგვარი „თეორიები“ და „პაწაწა თეორიები“, რომელთა ბურჟუაზიული წარმოშობა უეჭველია. მაგალითად, დღემდე გასავალი აქვს ბურჟუაზიული ევგენიკის რეაქციულ თეორიებს. და ამ შავრაზმულ „თეორიებს“ საბჭოთა მეცნიერების წრეში ჯეროვანი წინააღმდეგობა არ ეწევა.

უნდა აღინიშნოს, რომ ყველა მეცნიერი მუშაკი - კომუნისტი როდი აწარმოებს ბოლშევიკურ ბრძოლას ცრუთეორიების წინააღმდეგ, რომელნიც ანაგვიანებენ საბჭოთა მეცნიერებას. პარტიული და არაპარტიული ბოლშევიკები, მეცნიერების რა დარგშიაც უნდა მუშაობდნენ, ვალდებულნი არიან მებრძოლი მატერიალისტები იყვნენ, გაბედულად გამოაამკარავონ ის, რასაც იდეალისტური სიდამპლის, ხუცესური საკმევლისა და ბურჟუაზიული გახრწნილების სუნი უდის, ვინაიდან ეს არის „ფუჭყვავილა, რომელიც იზრდება ადამიანის ცოცხალი, ნაყოფიერი, ჭეშმარიტი, მძლავრი, ყოვლისშემძლებელი, ობიექტური, აბსოლუტური შემეცნების ცოცხალ ხეზე“ (ლენინი).

განსაკუთრებით პასუხსაგები ამოცანები დგას საზოგადოებრივ მეცნიერებათა დარგის მუშაკთა წინაშე. პარტიული პროპაგანდის დაყენების შესახებ საკ. კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის დადგენილებაში აღნიშნულია თეორიული ფრონტის მუშაკთა სერიოზული ჩამორჩენა, იდეოლოგიური მეურნეობის მივიწყება, კერძოდ მარქს - ენგელს-ლენინის ინსტიტუტის მუშაობის არადამაკმაყოფილებლობა. თეორიული სისუსტე, აქტუალური თეორიული საკითხების გაბედულად დასმის შიში, მედავითნეობისა და ასოკირკიტობის გავრცელება, მარქსიზმ-ლენინიზმის ცალკეულ დებულებათა ვულგარიზაცია და შერყვნა — ასეთია თეორიული ფრონტის მუშაკთა სერიოზული ჩამორჩენის გამოხატულებანი.

თეორიული ფრონტის მუშაკებმა სწრაფად და გადაჭრით უნდა მოუღონ ბოლო ასოკირკიტობას, მედავითნეობას, სქოლასტიკას, მარქსიზმ-ლენინიზმის ვულგარიზაციას და დამახინჯებას, ისინი გაბედულად უნდა აყენებდნენ აქტუალურ თეორიულ პრობლემებს, რომელნიც წინ სწევენ მარქსისტულ-ლენინური თეორიის განვითარებას.

უმაღლეს მწვერვალზე აიყვანოს საბჭოთა მეცნიერება ჩვენს ქვეყანაში, იყოს ხალხთან დაკავშირებული, გადასცეს ხალხს თავისი მიღწევები, აქტიურად იღებდეს მონაწილეობას ლენინ-სტალინის პარტიის ხელმძღვანელობით კომუნისტური საზოგადოების მშენებლობაში — ასეთია მოწინავე საბჭოთა მეცნიერების მოღვაწეთა საპატიო ამოცანა.

„პრავდის“ მოწინავე, 23/XII.

თბილისის სტალინის სახელობის ორთქლმავალ-ვაგონსარემონტო ქარხნის სტახანოველი ბრიგადირი ამხ. ე. კერესელიძე, რომელიც ბორბლების შეკეთების გეგმას 300 პროცენტით ასრულებს.

ფოტო ვ. ჩერკასოვისა („სოიუზფოტოს“ საქ. განყ.).

საინტერესო ლექცია

მასებში სულ უფრო და უფრო იზრდება მარქსისტულ-ლენინური თეორიისადმი ინტერესი. ჩვენი კადრები უკვე იგებენ თეორიის გემოს, სტალინური ცენტრალური კომიტეტის 14 ნოემბრის დადგენილების გატარება უკვე გვიჩვენებს თავის პირველ შედეგებს.

ამის მკაფიო მაგალითს წარმოადგენდა 22 დეკემბერს რუსთაველის თეატრის საკონცერტო დარბაზში მოწყობილი ამხ. ი. ტალახაძის ლექცია თემაზე — „ნაროდნიკობის განადგურება ვ. ი. ლენინის მიერ“. ლექციის მსმენის მრავალი მსურველი უადგილობის გამო ვერ მოხვდა ლექციაზე. ლექციას ესწრებოდა 600-ზე მეტი კაცი. აქ იყვნენ უმაღლესი სკოლების სტუდენტები და მეცნიერი მუშაკები, წითელი არმიის მეთაურები და საბჭოთა დაწესებულებების მომუშავენი, სტახანოველები და პარტიული მუშაკები.

მთელი დარბაზი ყურადღებით უსმენდა ამხ. ი. ტალახაძის ღრმა შინაარსიან ლექციას.

თავისი ლექციის დასაწყისში ამხ. ტალახაძემ პოპულარულად დაახასიათა 1860-1900-იანი წლების ეკონომიური და პოლიტიკური ვითარება, ნაროდნიკობის წარმოშობისა, ევოლუციისა და მისი განადგურების წლების ვითარება. გადმოსცა რა 1861 წლის რეფორმის შინაარსი, ლექტორმა ხაზი გაუსვა, რომ რუსეთში კაპიტალიზმის განვითარება წავიდა პრუსიული გზით, ფეოდალიზმის ნაშთებთან კაპიტალიზმის შეგუების გზით, და არა ამერიკული გზით, რომელიც კაპიტალიზმის განვითარების რევოლუციურ გზას წარმოადგენს.

რეფორმის შემდგომ პერიოდში მუშებისა და გლეხობის ეკონომიური მდგომარეობის გაუარესების დახასიათების შემდეგ ლექტორი გადავიდა მუშათა სტიქიური მოძრაობის წარმოშობისა და განვითარების, მუშათა პირველი კავშირების შექმნისა და, ბოლოს, „შრომის განთავისუფლების“ ჯგუფის დაარსების საკითხებზე.

— ამ პერიოდში, ამბობს ლექტორი, მთავარი მტერი მარქსიზმის იდეების გავრცელებისა და სოციალ-დემოკრატიული ორგანიზაციების ჩამოყალიბების გზაზე იყო ნაროდნიკობა. ნაროდნიკობის იდეური განადგურების გარეშე შეუძლებელი იყო მარქსიზმის გამარჯვება.

შემდეგ ლექტორმა ფართოდ განმარტა, თუ რაში მდგომარეობდა ნაროდნიკების ძირითადი შემცდარი შეხედულებანი და გადმოსცა თუ როგორი ბრძოლა ჩაატარა პლეხანოვმა ნაროდნიკების ამ შემცდარ შეხედულებათა წინააღმდეგ.

— მაგრამ, აღნიშნავს ლექტორი, პლეხანოვი ნაროდნიკებთან ბრძოლის დროს თვით უშვებდა სერიოზულ შეცდომებს და ამიტომ მას არ შეეძლო ბოლომდე მიეყვანა ნაროდნიკების განადგურების საქმე. ეს ამოცანა წილად ხვდა ახალგაზრდა ლენინს, რომელმაც ღირსეულად შეასრულა იგი.

შემდეგ ლექტორი მსმენელებს აცნობს ლენინის პირველი გენიალური ნაშრომის — „რანი არიან ხალხის მეგობრები და როგორ ომობენ ისინი სოციალ-დემოკრატების წინააღმდეგ“ — შინაარსსა და მნიშვნელობას ნაროდნიკების საბოლოო განადგურებისათვის. პირველ რიგში აქ ლექტორი ჩერდება ნაროდნიკებისა და მათი იდეური ბელადის ნ. მიხაილოვსკის სუბიექტური სოციოლოგიის კრიტიკაზე და აშუქებს მარქსისტული ისტორიული მატერიალიზმის ძირითად პრობლემებს.

ლექტორმა მკაფიოდ უჩვენა მსმენელებს, თუ დიალექტიკური მატერიალიზმის უძლეველი იარაღით როგორ ამარცხებდა და ანადგურებდა ლენინი ნაროდნიკებსა და ხალხის ყველა ჯურის მტრებს, როგორ ანვითარებდა და აღრმავებდა რევოლუციური მარქსიზმის მოძღვრებას.

ლექცია საინტერესო და სასარგებლო იყო. ასეთი ლექციები ხშირად უნდა მოეწყოს. ეს არის თვით ჩვენი კადრების, ჩვენი ინტელიგენციის სურვილი, რომელიც აუცილებლად უნდა იქნეს დაკმაყოფილებული.

◆

დასასრულ ორიოდე სიტყვა თვით ლექციის ორგანიზაციის შესახებ. სასურველი იყო ბილეთების მეტი ნაწილი თავისუფლად გაყიდულიყო სალაროდან. გარდა ამისა, ლექცია დანიშნულ დროზე ნახევარი საათის დაგვიანებით დაიწყო. დროის რაციონალურად გამოყენება იმასაც ნიშნავს, რომ ასეთი დაგვიანება შემდეგში აღარ დავუშვათ.

შევნიშნავთ აგრეთვე, რომ ლექცია გათვალისწინებულ დროზე გაცილებით მეტხანს—ორნახევარ საათს გაგრძელდა, რაც არ შეიძლება დადებით მოვლენად ჩაითვალოს.

დაწყებითი და საშუალო სკოლის მუშაკთა პროფკავშირის ცენტრალური კომიტეტის პლენუმი

გუშინ, 23 დეკემბერს, საღამოთი, თბილისის მასწავლებლის სახლის დიდ დარბაზში გაიხსნა დაწყებითი და საშუალო სკოლის მუშაკთა პროფკავშირის ცენტრალური კომიტეტის IV პლენუმი.

საკ. კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის მიერ „საკ. კ. პ. (ბ) ისტორიის მოკლე კურსის“ გამოშვებასთან დაკავშირებით პარტიული პროპაგანდის დაყენების შესახებ“ გამოტანილი დადგენილების რეალიზაციის საკითხზე მოხსენებით გამოვიდა ამხ. ა. მურუსიძე.

პლენუმი განიხილავს აგრეთვე საკითხს საზამთრო არდადეგებისათვის მომზადებისა და ბავშვებთან სკოლის გარეშე მუშაობის შესახებ. (საქდესი).

მეცნიერთა შეფობა საბავშვო დაწესებულებებზე

მოსკოვი, 23 დეკემბერი (საქდესი). სსრ კავშირის მეცნიერებათა აკადემიამ საბჭოთა კავშირის მეცნიერ მუშაკებსა და კვლევით დაწესებულებებს მიმართა მოწოდებით — იკისრონ შეფობა პიონერთა სახლების, სასკოლო კლუბების, საბავშვო ტექნიკური სადგურებისა და მოსწავლეთა სამეცნიერო წრეების მიმართ. მეცნიერთა დახმარება იმ ბავშვებისადმი, რომელთაც აინტერესებთ მეცნიერებისა და ტექნიკის საკითხები, შეიძლება გამოიხატოს ცოდნის სხვადასხვა დარგში პოპულარული ლექციების წაკითხვით, კონსულტაციით პროფესიის ამორჩევის საკითხზე, სასკოლო წრეებისა და საბავშვო სადგურების მუშაობაში მონაწილეობით.

მეცნიერებათა აკადემიამ თავის მხრივ შეფობა აიღო მოსკოვის ლენინის რაიონის საბავშვო სამეცნიერო დაწესებულებებზე.

აზერბაიჯანელი ხალხის დიადი შვილი

(მირზა ფატალი ახუნდოვის დაბადებიდან 125 წლისთავის გამო)

აზიზ შარიფი

აზერბაიჯანის ორდენოსანი რესპუბლიკა ზეიმით აღნიშნავს ახალი რეალისტური აზერბაიჯანული ლიტერატურის ფუძემდებლის, დიდი მწერლისა და მოაზროვნე — ათეისტის მირზა-ფატალი ახუნდოვის დაბადების 125 წლისთავს.

მირზა-ფატალი ახუნდოვი დაიბადა 1812 წელს ქალაქ ნუხაში. 20 წლამდე იგი სწავლობდა სასულიერო მეცნიერებებს და აღმოსავლურ ენებს — არაბულსა და სპარსულს. მისი პაპა მას მოლად ამზადებდა, მაგრამ თვითონ მირზა-ფატალი, რომელმაც ყოველმხრივ და ღრმად შეისწავლა მთელი რელიგიური ლიტერატურა ისლამის შესახებ, სხვა აზრისა იყო.

იგი შევიდა ნუხის სამოქალაქო სკოლაში, სადაც სწავლა რუსულ ენაზე სწარმოებდა და დაჰყო აქ მხოლოდ ერთი წელიწადი. ამ ხნის განმავლობაში იგი იმდენად დაეუფლა რუსულ ენას, რომ შეეძლო თარგმნისთვის მოეკიდა ხელი.

ენერგიული, ცნობისმოყვარე მირზა-ფატალი 1834 წელს ჩამოვიდა თბილისში, რომელიც მაშინ კავკასიის მხარის ადმინისტრატიული და კულტურული ცენტრი იყო, და შევიდა მეფის ნაცვლის კანცელარიაში აღმოსავლური ენების მთარგმნელად. ამ თანამდებობაზე მირზა-ფატალი ახუნდოვმა სიკვდილამდე დაჰყო. იგი გარდაიცვალა თბილისში 1878 წელს და დაკრძალულია მუსლიმანთა სასაფლაოზე ბოტანიკური ბაღის მახლობლად. თბილისში მან იცხოვრა 44 წელი.



მირზა-ფატალი ახუნდოვის პირველი, ჩვენთვის ცნობილი, ლიტერატურული ცდა ეკუთვნის 1837 წელს და დაკავშირებულია გენიალური რუსი პოეტის ა. ს. პუშკინის სახელთან, რომლის სიკვდილმა შეაძრწუნა ახალგაზრდა აზერბაიჯანელი მწერალი.

მირზა-ფატალი ახუნდოვმა ტრაგიკულად დაღუპული პოეტის ხსოვნას უძღვნა პოემა, რომელშიც შესძლო ეჩვენებინა პუშკინის მთელი უდიდესი მნიშვნელობა და შეეფასებინა სათანადოდ მისი გენია.

მირზა-ფატალი ახუნდოვის შემდგომი ლიტერატურული მოღვაწეობა მიმდინარეობდა პოეზიის დარგში იმ მომენტამდე, როდესაც თბილისში ჩამოყალიბდა თეატრი. ეს იყო წარსული საუკუნის 40-იან წლებში, როდესაც კავკასიაში მეფის ნაცვლად დანიშნულმა ს. მ. ვორონცოვმა წამოაყენა საკითხი თბილისში მუდმივი თეატრის შექმნისა და თეატრისათვის სპეციალური შენობის აგების შესახებ.

თეატრით გატაცებულმა მირზა-ფატალი ახუნდოვმა ხელი მოჰკიდა დრამატურგიას. და მარტო ერთი წლის—1850 წლის — განმავლობაში მან შექმნა თავისი პირველი სამი კომედია, რომლებიც გახდნენ საძირკველი მთელი მომავალი აზერბაიჯანული დრამატურგიისა და რომლებმაც საფუძველი დაუდეს აზერბაიჯანის რეალისტური ლიტერატურის ისტორიას.

ამ პიესათაგან პირველში „მოლა-იბრაჰიმ-ხალილ — ფილოსოფიური ქვის მფლობელი“ მირზა-ფატალი ახუნდოვმა საცინლად აიგდო გულუბრყვილობა და სიხარბე ნუხელი მოქალაქეებისა, რომლებმაც დაუჯერეს გაიძვერა ალქიმიკოსს, მისცეს მას თავისი უკანასკნელი ქონება იმ იმედით, რომ მისგან წმინდა ვერცხლს მიიღებდნენ.

მეორე პიესაში „მოსიე ჟორდან-ბოტანიკოსი და დერვიში მასთალი-შახ — ცნობილი ჯადოქარი“ ავტორმა გვიჩვენა ყარაბაღელი მემამულის ყოფაცხოვრება, რომლის ოჯახში მოხდა კონფლიქტი მემამულის სიძის გამო.

ამ პიესაში აზერბაიჯანელი ქალის სიბნელესთან და უვიცობასთან ერთად ნაჩვენებია აზნაური ახალგაზრდობის მისწრაფება ცოდნისა, განათლებისა და აქტიური საზოგადოებრივი და სახელმწიფო მოღვაწეობისაკენ.

მესამე პიესაში „სერბიის სახანოს რაინდი“ აღწერილია ცხოვრება ხანის ვეზირისა, რომელსაც მრავალი ცოლი ჰყავდა. ამ პიესაში ავტორი ამხელს ხანის სისასტიკეს, ვეზირის თვალთმაქცობასა და მხდალობას.

ამ პირველი პიესების შემდეგ, რომლებშიც მირზა-ფატალი ახუნდოვი ეუფლებოდა დრამატურგიული წერის ტექნიკას, აღრმავებდა თავის ოსტატობას, მან 1851 წელს დასწერა მეოთხე პიესა „ყაჩაღის დამმარცხებელი დათვი“. ამ პიესაში, რომელიც მიძღვნილია აზერბაიჯანის გლეხობის ცხოვრებისადმი, ავტორი ილაშქრებს ძველი ზნეჩვეულებების, გლეხობის მასის ცრუმორწმუნეობის, ფანატიზმის წინააღმდეგ.

„ძუნწის თავგადასავალი“, რომელიც დაწერილია 1852 წელს, წარმოადგენს მწერლის დრამატურგიული შემოქმედების მწვერვალს.

უკანასკნელი პიესა „აღმოსავლეთელი ვექილები“, რომელიც დაწერილია მცირე შესვენების შემდეგ— 1856 წელს, უჩვენებს მკითხველს თავრიზს და ამხელს თავრიზელ სამართლის მცოდნეთა თვალთმაქცობას, სიხარბეს, გამყიდველობას, რომლებიც ათასი ხრიკებით სარგებლობენ, რომ მოატყუონ გულუბრყვილო კლიენტი.

მირზა-ფატალი ახუნდოვმა შექმნა კლასიკური პიესები, რომლებზედაც აღიზარდა ახალ აზერბაიჯანელ მწერალთა მთელი პლეადა და რომლებიც წარსული საუკუნის ბოლომდე შეადგენდნენ აზერბაიჯანული თეატრის მთელ რეპერტუარს. ეს პიესები ახლაც არ სცილდება აზერბაიჯანულ სცენას. ისინი გავრცელდნენ მთელს ევროპაში, შეუქმნენ მათ შემოქმედს დიდი სახელი და მოუპოვეს მას „აზერბაიჯანელი მოლიერის“ საპატიო წოდება.

ჰგმობდა რა საყოველთაო სიბნელესა და უვიცობას, ფანატიზმსა და ცრუმორწმუნეობას, სიცალიერეს და უსაქმურობას, ამხელდა რა ფეოდალური სამყაროს სოციალურ მანკებს, დიდი პროგრესისტი და განმანათლებელი მირზა ფატალი ახუნდოვი მოუწოდებდა განათლებისა და კულტურისაკენ, ცხოვრებისადმი ენერგიული, აქტიური დამოკიდებულებისაკენ, ზოგადსაკაცობრიო მეცნიერებისა და კულტურის მიღწევათა დაუფლებისაკენ.

განსაკუთრებით მკვეთრად გამოხატა მირზა-ფატალი ახუნდოვმა თავისი სოციალურ-პოლიტიკური იდეები მოთხრობაში „მოტყუებული ვარსკვლავები“, რომელიც დაწერილია 1857 წელს და რომლითაც მთავრდება მწერლის მხატვრული შემოქმედება. ამ მოთხრობაში ავტორი ამხელს შაჰის დესპოტიზმს, ხალხის უუფლებობას, ვეზირების პირმოთნეობას და გონების სიჩლუნგეს. იგი გამოდის მასში, როგორც მგზნებარე მომხრე ხალხისა, რომლის ინტერესებსაც უნდა ემორჩილებოდეს ყოველივე ხელისუფლება. ლაპარაკობს რა ხალხზე, მას მხედველობაში ჰყავს გლეხები, ქალაქის ხელოსნები და მშრომელნი. ავტორის აზრით, მმართველი არის მხოლოდ ხალხის მსახური.

ეს დემოკრატიული იდეები მირზა-ფატალი ახუნდოვმა შემდეგში ფართოდ განავითარა ფილოსოფიურ ნაშრომში სახელწოდებით „ინდოელი პრინცის ქემალუდდოვლეს და ირანელი პრინცის ჯელალუდდოვლეს მიწერ-მოწერა“.

თავის ამ თხზულებაში, რომელიც მკითხველთა ფართო მასებისათვის უცნობი იყო აზერბაიჯანში სოციალისტურ რევოლუციამდე, მირზა-ფატალი ახუნდოვი შარავანდედს აცლის ისლამის ალაჰს და მის წინასწარმეტყველს მაჰმადს, უწოდებს მათ ბოროტმოქმედებს, ჯალათებს, მოძალადეებს.

აზერბაიჯანის უდიდესი მატერიალისტისა და დარწმუნებული ათეისტის მირზა-ფატალი ახუნდოვის ფილოსოფიური მემკვიდრეობა უდიდეს ინტერესს წარმოადგენს აზერბაიჯანის საზოგადოებრივი აზროვნების განვითარების ისტორიის შესწავლისათვის.

მხოლოდ ლენინურ-სტალინურმა ბრძნულმა ნაციონალურმა პოლიტიკამ დაუბრუნა აზერბაიჯანელ ხალხს მისი დიადი შვილი, გახადა მისი შემოქმედება მთელი 170-მილიონიანი საბჭოთა ხალხის კუთვნილებად.

მირზა ფატალი ახუნდოვი

პუშკინის გარდაცვალებაზე

(ნაწყვეტი)

აისია! ფრთოსანი გუნდი ავარდა და ხმა დახლართა:
„ო, მწვანეთის პატარძალო, გადაიძრე მიწის კალთა“.

ყველა ერთურთს ეცილება, ჰქმნას სიკეთე საზრახელი,
რომ ბუნების გაშლილ ბაზარს მიეგებოს სავსე ხელით.

რიგი აფენს სილამაზეს, — რაყიფების გულის მკოდავს, —
რიგი მღერის, რიგი ოხრავს, რიგი ტრფობის ლექსებს ბოდავს.

ო, შენს გარდა, გულო ჩემო, ყველა ლაღობს მხიარულად,
კაეშანი აღარა აქვთ ერთმანეთის ზიარულად.

ამ საერთო ალტაცების შენ არა ხარ მონაწილე...
ძილისაგან გაერკვიე! თვალებს ლიბრი მოაცილე!

ნუთუ გულის შინასკნელში არ გიღვივის ნატვრა სულის,
არ გიზიდავს დიდების ხმა და ოცნება სიყვარულის?

შენ ხომ ისევ ის გული ხარ, ვინც ვიდოდა ფიქრთა ზღვაში,
ვინც როკავდა ზღვის ტალღებზე ძვირფასეულ რითმის ტაშით.

ამოგქონდა მის ფსკერიდან მარგალიტი ფენა-ფენად
ლამაზმანი ხათუნების ბროლის ყელის დასამშვენად.

მაშ საიდან წარმოიშვა შენი სევდა, შენი ურვა,
ქირისუფალს დაემსგავსე, თითქოს გდევდეს წყევლა-კრულვა!

გულმა ასე მიპასუხა: „გთხოვ დამტოვო ჩემთვის მარტო,
მყუდროებას ნუ მიშფოთებ, მსურს ვიტირო, მსურს ვიდარდო.

მე რომ მსგავსად ფარვანასი, არ მესმოდეს ის ცის ძალი,
რომ ზაფხულის სიოს მოსდევს შემოდგომის ქარიშხალი, —

მყის სიტყვის ხმალს შევირტყამდი, დავიწყებდი ერთზე მღერას
და დიდების მოსახვეჭად გავქუსლავდი ლექსის მერანს.
მაგრამ ვიცი, თუ რამდენად მუხთალია ეს სოფელი,
ჩემი ყოფის დასასრული, სასტიკი და ულმობელი.
გიჟს ვუწოდებ ჩიტს, რომელმაც დააღწია თავი მახეს
და საკენკის ასაკრებად ისევ იქით მიცახცახებს.
იცოდე რომ დიდების ხმა, ასე რომ ჰქუხს ათასფერად,
სხვა რა არის, თუ არ მხოლოდ ცარიელი ხმა და ბგერა!
ოცნებაზე ჩქამს ნუ დასძრავ, კარგად ვიცნობ ხალხს მედროვეს,
პოეზიის პირმშო შვილებს თუ რა ხვედრით აჯილდოვებს.
ამ ქვეყნისა აღარა ხარ? არაფერი შეგიტყვია?
პოეზიის თავი არ გვყავს, გულს ახალეს ცხელი ტყვია.
ვინ არ იცნობს პუშკინს, პუშკინს ვინ არ აქებს, არ ადიდებს,
მოლივლივე მისი ლექსი მოფენილა კიდით-კიდეს.
თვით ქაღალდსაც ჟხაროდ დაეკარგა სპეტაკობა,
ოღონდ პუშკინს აღებეჭდა ზედ თავისი სიტყვის წყობა.
მისი სიტყვის ცისარტყელა ევლებოდა მთებს და წერებს,
ფარშევანგის ბოლოსავით გამოსცემდა ნაირფერებს.
ლომონოსოვს უთხრეს, შენ ხარ სადარბაზოდ ლექსთა ბაში!
პუშკინი კი საბოლოოდ მტკიცედ დარჩა ამ დარბაზში.
დერჟავინმა პოეზიის სასახლეში ჰპოვა ბინა,
მაგრამ ყველას პირველობა კვლავ პუშკინმა აგრძნობინა.
კარამზინმა ცოდნის ღვინით ამოავსო მზის სასმისი,
პუშკინმა კი მთლად ძირამდე გამოსცალა ჭიქა მისი.
იგი ყველგან განთქმულია მისი ქება აღწევს ცამდე,
როგორც რუსთა მეუფება სათათრეთით ჩინეთამდე.
როგორც დიად აღმოსავლეთს სწამს ნამგალა ნორჩი მთვარე,
ისე ვჭვრეტდით ჩრდილოს ცაზე ჩვენც პუშკინის ჰქვიან თვალებს.
შვიდ ცასა და ოთხ სტიქიას არ ჰყოლია ჯერედ შვილი —
პუშკინივით გონიერი, მადლიანი, დალოცვილი.
ეხლა მითხარ, ის მშობელი ჩაითვლება კაცურ კაცად,
ვინც გასწირა გენიოსი ასე ულვთოდ, ასე მკაცრად?
სასიკვდილო ისარი ჰკრეს მის ძარღვიან ჯეელ სხეულს,
და გულმშვიდად დაჰყურებენ უმანკო სისხლს, ძირს დანთხეულს.
შავ ღრუბელმა სიტყვა შეჰკრა, მოაფინა სწრაფად ჩრდილო,
და სიცოცხლის ხის ნაყოფი ჩამოაგდო სასიკვდილოდ.
სიკვდილეთის ქარაშოტმა შეარყია ირგვლივ მთანი,
ჩააქრო და ჩაანავლა მისი სულის ჩირაღდანი.
ხანდაზმულმა მეწალკოტემ მოიქნია ბასრი ცული,
ძირიანად გადასხიპა ვარდი, ტოტზე ამოსული.
მისი თავი—საგანძური—ბრძნულ სიტყვებს რომ სთლიდა, ჰკვეთდა,
მწარე ბედის გარჩენით გველის ბუდედ გადაკეთდა.
მისი გული—ვარდის ბუტკო—აქეთიქით სუნს რომ ჰფენდა,
დაიფერფლა და ეხლა იქ ნარ-ეკალი აღმოცენდა.
მისი სულის ჩიტუნია ამოფრინდა ყაფაზიდან.
ხნიერმა და ახალგაზრდამ მწუხარება ერთად ზიდა.
გმინავს მიწა რუსეთისა, ჰგოდებს ხმითა დამღაღველით:
— ჯალათების წმინდა მსხვერპლო, შენ დაეცი მტრების ხელით!
შენ სიმართლის თილისმამაც ვერ გიშველა, ვერ დაგიხსნა
და ჯადოქარ ბედისწერამ დაგატეხა მძიმე რისხვა.
შენ დასტოვე მეგობრები, გაემგზავრე სადღაც შორეთს.
დაე, ზეცამ გიმეგობროს, შეეყარო სულის სწორებს.
ბაღჩისარის შადრევანი შენი ვარდის ნექტრის ნობათს
გაზაფხულის სიოთ გაფრქვევს უკვდავ ნეშტის შესამკობად.
და ჭაღარა კავკასია კრძალვითა და მოწიწებით
მწირ საბუხის ლექსით გლოვობს შენს უდროოდ დამიწებას.

თარგმანი **ი. გრიშაშვილისა**

ბ. ნანიტაშვილი

ლენინური „ისკრა“



ლენინურმა „ისკრამ“, რომლის პირველი ნომერიც ამ ოცდათვრამეტი წლის წინათ გამოვიდა, უდიდესი როლი შეასრულა ბოლშევიკების გმირული პარტიის აგების საქმეში.

ახალი ტიპის პარტიის აგება, პროლეტარული რევოლუციისა და პროლეტარიატის დიქტატურის პარტიის აგება არ იყო ადვილი საქმე. ამ ამოცანის განხორციელება შეუძლებელი იყო ზუსტად განსაზღვრული მარქსისტულ-ლენინური გეგმის გარეშე. ამ ამოცანის განხორციელება შეუძლებელი იყო, თუ გამონახული არ იქნებოდა მომენტის ის ძირითადი რგოლი, რომლისთვის ხელის ჩაჭიდებითაც სწრაფად წავიდოდა წინ პარტიის მშენებლობის მთელი გეგმის განხორციელება.

„... მთელი პოლიტიკური ცხოვრება, — სწერდა ლენინი, — წარმოადგენს რგოლების უსასრულო წყებისაგან შემდგარ უსასრულო ჯაჭვს. პოლიტიკოსის ხელოვნებაც სწორედ ისაა, რომ მონახოს და მაგრად ჩასჭიდოს ხელი სწორედ ისეთ რგოლს, რომლის ხელიდან გაგდებინება ყველაზე უფრო საძნელოა, რომელიც ყველაზე მნიშვნელოვანია განსაზღვრულ მომენტში, რომელიც ყველაზე უფრო უზრუნველჰყოფს რგოლის მფლობელის მიერ მთელი ჯაჭვის ფლობას“.[1]

რა პირობებში სდგებოდა ახალი ტიპის პარტიის აგების ლენინური გეგმა? რა იყო ამ მომენტში რგოლების უსასრულო წყებისაგან შემდგარი პოლიტიკური ცხოვრების უსასრულო ჯაჭვის ის მთავარი რგოლი, რომლისთვისაც ხელის ჩაჭიდებით სწრაფად წავიდოდა წინ პარტიის მშენებლობის საქმე?

ახალი ტიპის პარტიის აგების ლენინური გეგმა სდგებოდა იმ მომენტში, როდესაც მარქსიზმის გამარჯვებამ ნაროდნიკობაზე და მუშათა რევოლუციურმა გამოსვლებმა გააძლიერეს რევოლუციური ახალგაზრდობის სიმპატიები მარქსიზმისადმი, როდესაც „მარქსიზმი მოდად იქცა“, როდესაც „მარქსისტულ ორგანიზაციებს მიაწყდნენ ინტელიგენციის წრიდან გამოსული რევოლუციური ახალგაზრდობის მთელი მასები, რომლებიც სუსტნი იყვნენ თეორიაში და გამოუცდელნი ორგანიზაციულ-პოლიტიკური მხრივ“.[2] ამან გამოიწვია იდეური დაბნეულობის, პოლიტიკური ქანაობისა და ორგანიზაციული უთავბოლობის გაძლიერება.

პარტიის აგების ლენინური გეგმა სდგებოდა იმ მომენტში, როდესაც სულ უფროდაუფრო იზრდებოდა „სრულიად დამოუკიდებელი სტიქიური მოძრაობა სამრეწველო პროლეტარიატისა, რომელმაც დაიწყო გაერთიანება და ბრძოლა თავისი მჩაგვრელების წინააღმდეგ და გამოიჩინა ცხოველი მისწრაფება სოციალიზმისაკენ“,[3] როდესაც არსებობენ და ყოველდღიურად ჩნდებიან მუშათა და სოციალ-დემოკრატ ინტელიგენტთა წრეები, გამოდის ადგილობრივ სააგიტაციო ფურცლები და არაჩვეულებრივად იზრდება მოთხოვნილება სოციალ-დემოკრატიულ ლიტერატურაზე.

პარტიის აგების ლენინური გეგმა სდგებოდა იმ მომენტში, როდესაც თვითმპყრობელობის მხრით სასტიკი, გააფთრებული დევნის მიუხედავად, წრეების ხშირი „ჩავარდნის“, წრის ხელმძღვანელთა და მონაწილეთა დაპატიმრებების და გადასახლებების მიუხედავად, არალეგალური ლიტერატურის და სტამბების აღმოჩენისა და განადგურების მიუხედავად, მოძრაობა მაინც სულ უფროდაუფრო ფართოვდება და ღრმავდება და მოითხოვს მუშათა კლასის ერთიანი ცენტრალიზებული პარტიის შექმნას, ისეთი პარტიის შექმნას, რომელსაც შეეძლება ხელმძღვანელობა გაუწიოს რევოლუციურ მოძრაობას.

პარტიის აგების ლენინური გეგმა სდგებოდა იმ მომენტში, როდესაც მთავარ შემაფერხებელ მიზეზს პარტიის აგების გზაზე წარმოადგენდა წრეობრიობა, დაქსაქსულობა, კუსტარულობა, როდესაც წრეები ჩნდებოდნენ და მოქმედებდნენ ერთმანეთისაგან სრულიად დამოუკიდებლად, შეუთანხმებლად, როდესაც ადგილობრივი მუშაკების მნიშვნელოვანი ნაწილი არაფერს დაეძებდა, გარდა თავისი ადგილობრივი წვრილმანი პრაქტიკული მუშაობისა.

პარტიის აგების ლენინური გეგმა სდგებოდა იმ მომენტში, როდესაც ადგილობრივი მუშაკების მნიშვნელოვან ნაწილს არ ესმოდა წრეობრიობის, კუსტარულობის მავნებლობა, ორგანიზაციული და იდეური ერთიანობის უქონლობის მავნებლობა და, შეჩვეული იყო რა ამ მდგომარეობას, არ აწარმოებდა ბრძოლას მისი დაძლევისათვის, არ იბრძოდა ერთი მთლიანი პარტიის შესაქმნელად, როდესაც, ამას გარდა, არსებობდა საკმაოდ მრავალრიცხოვანი ჯგუფი ადამიანებისა — „ეკონომისტები“, რომლებიც თეორიულად ამართლებდნენ და ხოტბას ასხამდნენ ორგანიზაციულ დაქსაქსულობას, იდეურ დაბნეულობას და პროლეტარიატის ერთიანი, ცენტრალიზებული პარტიის შექმნის სასტიკი მოწინააღმდეგენი იყვნენ.

საიდან უნდა დაწყებულიყო ამ პირობებში ერთიანი, მონოლითური, მებრძოლი პარტიის აგებისათვის მუშაობა? როგორ შეიძლებოდა „ეკონომისტების“ განადგურება და წარმატების მოპოვება პარტიის მშენებლობის გზაზე?

ლენინმა თავის შესანიშნავ სტატიებში—„ისკრას“ და „ზარიას“ რედაქციის განცხადების პროექტი“, „ჩვენი მოძრაობის საარსებო ამოცანები“, „რით დავიწყოთ?“ და სხვ., ხოლო შემდეგ თავის გენიალურ ნაშრომში „რა ვაკეთოთ?“ განავითარა ახალი ტიპის პარტიის აგების ზუსტი და ნათელი გეგმა. ლენინმა განავითარა ის აზრი, რომ ერთიანი პარტიის შექმნა უნდა დაიწყოს არალეგალური საერთო-რუსული მებრძოლი პოლიტიკური გაზეთის შექმნით, რომ საერთო-რუსული გაზეთის შექმნა ამ მომენტში არის ძირითადი რგოლი, რომლის საშუალებითაც შესაძლებელია პარტიის მშენებლობის მთელი ჯაჭვის ხელში შენარჩუნება.

სტატიაში „რით დავიწყოთ?“ ლენინი სწერდა:

„ჩვენის აზრით, მუშაობის გამოსავალ წერტილად, პირველ პრაქტიკულ ნაბიჯად სასურველი ორგანიზაციის შექმნისათვის დასასრულ, მთავარ ძაფად, რომლის გაყოლებით ჩვენ შევძლებთ ამ ორგანიზაციის განუხრელად განვითარებას, გაღრმავებას და გაფართოებას, უნდა მივიჩნიოთ საერთო-რუსული პოლიტიკური გაზეთის დაარსება“[4].

მაშასადამე, პირველი პრაქტიკული ნაბიჯი პარტიის შექმნის გზაზე უნდა ყოფილიყო საერთო-რუსული გაზეთის შექმნა.

რატომ? იმიტომ, რომ —

პირველი,—მხოლოდ საერთო-რუსული პოლიტიკური გაზეთის შექმნის გზით იყო შესაძლებელი სისტემატური, პრინციპულად გამართული და ყოველმხრივი აგიტაცია-პროპაგანდის წარმოება, მარქსიზმის რევოლუციური თეორიის გავრცელებისა და მისი პრაქტიკაში შემოქმედებითი გამოყენების ჩვენება, მხოლოდ ამ გზით იყო შესაძლებელი ადგილობრივი ორგანიზაციების იდეური დარაზმვა.

მეორე,—მხოლოდ საერთო-რუსული გაზეთის შექმნის საშუალებით იყო შესაძლებელი მუშათა მოძრაობის დაქსაქსულობის დაძლევა, ადგილობრივი ორგანიზაციების ხელმძღვანელთა ვიწრო პრაქტიციზმით გატაცების დაძლევა და მუშაკთა გონებრივი ჰორიზონტის გაფართოება.

მესამე,—მხოლოდ საერთო-რუსული გაზეთის — მეფის მთავრობის საყოველთაო-სახალხო მხილების ამ საერთო ტრიბუნის საშუალებით იყო შესაძლებელი პოლიტიკური უკმაყოფილებისა და პროტესტის ყველა ელემენტის კონცენტრაცია და ამ გზით პროლეტარიატის რევოლუციური მოძრაობის განაყოფიერება.

მეოთხე,—მხოლოდ საერთო-რუსული გაზეთის საშუალებით იყო შესაძლებელი მუშათა მოძრაობაში ოპორტუნისტული, რევიზიონისტული მიმდინარეობის „ეკონომიზმის“ დამარცხება და განადგურება, „ეკონომიზმის“, რომლის გავრცელებაც საფრთხეს უქმნიდა პროლეტარიატის პარტიის შექმნას, „ეკონომიზმის“, რომელსაც სურდა პროლეტარიატი ბურჟუაზიის მაჩანჩალად გადაექცია.

მეხუთე,—მხოლოდ საერთო-რუსული გაზეთის საშუალებით შეიძლებოდა პარტიის პროგრამისა და ტაქტიკის შემუშავება და მისი ყველა ორგანიზაციისათვის გაცნობა, მხოლოდ ამ საშუალებით შეიძლებოდა გამოყოფა ბურჟუაზიის აგენტებისაგან მუშათა მოძრაობაში და ნამდვილი მარქსისტული ორგანიზაციების შექმნა.

მაგრამ ეს ყველაფერი კიდევ ცოტაა. ლენინი ამბობდა, რომ გაზეთი შექმნის პარტიის არა მარტო იდეურს, არამედ ორგანიზაციულ საფუძველსაც.

ლენინი ამბობდა:

„გაზეთის როლი არ შემოიფარგლება მარტო იდეების გავრცელებით და პოლიტიკურ მოკავშირეთა მოპოვებით. გაზეთი არის არა მხოლოდ კოლექტიური პროპაგანდისტი და კოლექტიური აგიტატორი, ის აგრეთვე კოლექტიური ორგანიზატორიც არის“.[5]

ლენინი ამბობდა:

„მარტო ერთი ტექნიკური ამოცანა— გაზეთის უზრუნველყოფა მასალების წესიერად მოწოდებით და გაზეთის წესიერად გავრცელება — გვაიძულებს შევქმნათ მთლიანი პარტიის ადგილობრივი აგენტების ქსელი, აგენტების, რომელთაც გაცხოველებული კავშირი აქვთ ერთმანეთთან, იციან საქმის საერთო მდგომარეობა, ეჩვევიან მთელი რუსეთის მასშტაბით საქმის ცალკე ფუნქციების რეგულარულად შესრულებას, სინჯავენ თავის ძალებს ამა თუ იმ რევოლუციური მოქმედების მოსაწყობად. აგენტების ეს ქსელი სწორედ ისეთი ორგანიზაციის ჩონჩხი იქნება, რომელიც ჩვენ გვესაჭიროება...“[6]

ამხანაგი სტალინი „ლენინიზმის საკითხებში“ ამბობს:

„...მხოლოდ საერთო-რუსული არალეგალური გაზეთის საშუალებით შეიძლებოდა იმდროინდელ პირობებში პარტიის შეხმატკბილებული ბირთვის შექმნა, რომელსაც უნარი ექნებოდა გაეერთიანებინა ორგანიზაციები და წრეები, მოემზადებინა იდეური და პოლიტიკური ერთიანობის პირობები და ამრიგად საძირკველი ჩაეყარა ნამდვილი პარტიის შექმნისათვის“.[7]

ასეთი გაზეთი იყო ლენინური „ისკრა“.

„ისკრის“ გამოცემის გეგმა ლენინის მიერ საფუძვლიანად იყო დამუშავებული ჯერ კიდევ მაშინ, როდესაც ის გადასახლებაში იმყოფებოდა. გადასახლებიდან დაბრუნებისას ლენინმა მთელ რიგ ადგილებში (უფა, პსკოვი, მოსკოვი, პეტერბურგი) მოაწყო თათბირები იმის შესახებ, თუ როგორ უნდა დაკავშირებოდნენ რუსეთში მომუშავენი „ისკრის“ რედაქციას, რომელიც შექმნილი პირობების გამო საზღვარგარეთ უნდა ყოფილიყო. 1900 წლის შემოდგომაზე ლენინი გაემგზავრა საზღვარგარეთ და დეკემბერში „შრომის განთავისუფლების“ ჯგუფთან შეთანხმებით, ლენინის ხელმძღვანელობით გამოვიდა გაზეთ „ისკრის“ პირველი ნომერი. ეს იყო ახალი ეტაპის დასაწყისი პარტიული მშენებლობის საქმეში.

ლენინურმა „ისკრამ“ გააცამტვერა „ეკონომისტების“ ოპორტუნისტული ფილოსოფია მუშათა სტიქიური მოძრაობის წინაშე ქედის მოხრისა და რევოლუციური თეორიის მნიშვნელობის დამცირებისა. ლენინურმა „ისკრამ“ გაანადგურა მუშათა კლასის ძალების შეუფასებლობისა და სოციალ-დემოკრატიის ხელმძღვანელი როლის უარყოფის რევიზიონისტული ფილოსოფია, წრეობრიობისა და დაქსაქსულობის გამართლების ფილოსოფია.

ლენინურმა „ისკრამ“ გამოიმუშავა პარტიის პროგრამის პროექტი. პროგრამის პროექტის გამომუშავების დროს „ისკრის“ რედაქციაში თავი იჩინა სერიოზულმა უთანხმოებამ ლენინსა და პლეხანოვს შორის. ამ უთანხმოებას მაშინ გათიშვა არ მოჰყოლია, რადგან ლენინმა მიაღწია იმას, რომ პროგრამის პროექტში შეტანილი ყოფილიყო უმნიშვნელოვანესი პუნქტი პროლეტარიატის დიქტატურის შესახებ და ნათლად ყოფილიყო აღნიშნული მუშათა კლასის ხელმძღვანელი როლი რევოლუციაში. გარდა ამისა, ლენინს ეკუთვნოდა პროგრამის მთელი აგრარული ნაწილი. „ლენინისა და პლეხანოვის დავამ პარტიის პროგრამის გამო ნაწილობრივ განსაზღვრა მომავალი უთანხმოებანი ბოლშევიკებსა და მენშევიკებს შორის“.[8]

ლენინურმა „ისკრამ“ ნამდვილად გადამწყვეტი როლი შეასრულა წრეობრიობისა და დაქსაქსულობის დაძლევასა და ერთიანი პარტიის მომზადებაში. „ისკრის“ გარშემო სულ მალე დაიწყო წრეებისა და ორგანიზაციების დარაზმვა. ჰქონდათ რა პარტიულ მუშაკებს „ისკრის“ სახით მტკიცე მარქსისტული დასაყრდენი, ისინი გარკვეულად ემიჯნებოდნენ ოპორტუნისტულ მიმდინარეობებს, სასტიკ ბრძოლას უმართავდნენ და ამარცხებდნენ პარტიულობის მოწინააღმდეგეებს— „ეკონომისტებს“ და ყველა მათ მსგავსთ. დღითიდღე ძლიერდებოდა ლენინურ-ისკრული მიმართულება. სულ უფროდაუფრო აშკარა ხდებოდა „ეკონომისტების“, როგორც მუშათა მოძრაობაში ბურჟუაზიული გავლენის გამტარებლების, როლი. „ისკრამ“ მკაფიოდ გაავლო ხაზი მუშათა კლასის მტერთა და მოყვარეთა შორის. ეს გაყოფა იყო უდიდესი ნაბიჯი გაერთიანების გზაზე, ერთიანი პარტიის შექმნის გზაზე.

ლენინურ-ისკრული მიმართულების გამარჯვებამ სოციალ-დემოკრატიულ ორგანიზაციებში მოამზადა ყველა ძირითადი პირობა ნამდვილი პარტიის შექმნისათვის. ახლა შეიძლებოდა პარტიის მეორე ყრილობის მოწვევა. 1903 წლის 30 ივლისს ყრილობა კიდეც შესდგა. მან განამტკიცა მარქსიზმის გამარჯვება „ეკონომიზმზე“, მიიღო პროგრამა და წესდება, შექმნა სოციალ-დემოკრატიული პარტია და ამრიგად ააგო ჩარჩოები ერთიანი პარტიისათვის. ყრილობამ გამოამჟღავნა იმ ღრმა ორგანიზაციულ უთანხმოებათა არსებობა, რომლებმაც პარტია გაჰყვეს ორ ნაწილად — რევოლუციურ, ბოლშევიკურ ნაწილად და ოპორტუნისტულ, მენშევიკურ ნაწილად. ყრილობამ გამოამჟღავნა, რომ უკვე დამარცხებული ოპორტუნისტების — „ეკონომისტების“ ადგილს პარტიაში იჭერენ ახალი ოპორტუნისტები—მენშევიკები.

მეორე ყრილობის შემდეგ მენშევიკებმა, ყრილობის გადაწყვეტილებათა დარღვევის გზით, ხელში ჩაიგდეს „ისკრის“ რედაქცია. ამის შემდეგ მენშევიკებმა „ისკრა“ გადააქციეს თავის ოპორტუნისტულ შეხედულებათა ქადაგების ორგანოდ, ლენინის წინააღმდეგ ბრძოლის ორგანოდ.

„ამ დროიდან, — ნათქვამია „საკ. კ. პ. (ბ) ისტორიის მოკლე კურსში“,—პარტიაში დაიწყეს ლაპარაკი ძველ „ისკრაზე“, როგორც ლენინურ, ბოლშევიკურ „ისკრაზე“ და ახალ „ისკრაზე“ როგორც მენშევიკურზე, ოპორტუნისტულზე“.[9] ახალი „ისკრის“ ოპორტუნისტული შეხედულებანი ლენინმა გააცამტვერა თავის გენიალურ ნაშრომში „ნაბიჯი წინ, ორი ნაბიჯი უკან“.

დიდია ლენინური „ისკრის“ დამსახურება პარტიის აგების საქმეში. ლენინური „ისკრის“ პირველი ნომრის სათაურქვეშ იყო გამოთქმა: **„ნაპერწკლიდან ალი აინთება“**. „და მართლაც ლენინის მიერ დანთებული „ნაპერწკლიდან“ („ისკრიდან“) შემდეგში აინთო დიადი რევოლუციური ხანძრის ალი, რომელმაც სულ ერთიანად გადაბუგა მეფის თავადაზნაურულ-მემამულური მონარქია და ბურჟუაზიული ძალაუფლება“.[10]

---

[1] ლენინი, ტ. IV, გვ. 608.

[2] „საკ. კ. პ. (ბ) ისტორია“, გვ. 37.

[3] ლენინი, ტ. IV, გვ. 5.

[4] ლენინი, ტ. IV, გვ. 124.

[5] იქვე, გვ. 126.

[6] იქვე, გვ. 126-127.

[7] „ლენინიზმის საკითხები“, გვ. 75.

[8] „საკ. კ. პ. (ბ) ისტორია“, გვ. 47.

[9] „საკ. კ. პ. (ბ) ისტორია“, გვ. 55.

[10] იქვე, გვ. 31.

მღელვარება ესპანელ მეამბოხეთა ზურგში

პარიზი, 22 დეკემბერი (საკდესი). ესპანის სააგენტო ანდაიადან (საფრანგეთის სამხრეთი ნაწილი) იუწყება, რომ ესპანელ ფაშისტ მეამბოხეთა ხელისუფალნი ყოველ ღონისძიებას იღებენ იმისათვის, რათა საზღვარგარეთ არ გავიდეს რაიმე ცნობა იმ მღელვარებათა შესახებ, რომლებსაც უკანასკნელ დღეებში ადგილი აქვს ესპანეთის ფაშისტურ ზონაში. „ყველაფრიდან ჩანს, — აღნიშნავს სააგენტო, — რომ ეს მღელვარებანი თავისი მასშტაბით აღემატებიან ყველა გამოსვლას, რაც კი დღემდე გენერალ ფრანკოს წინააღმდეგ მომხდარა. ფაშისტ მეამბოხეთა სანაპირო რაზმის საგუშაგოები ერთი კილომეტრით დასწიეს საფრანგეთის საზღვრიდან ესპანეთის ტერიტორიის შიგნით. იმ ზონას, რომელიც ამგვარად შეიქმნა საზღვარსა და ფაშისტთა სანაპირო რაზმის ახალი განლაგების ადგილს შორის, დამიზნებული აქვს ფაშისტთა ტყვიამფრქვევები და აქ არავის შეუძლია გავლა. მოსაზღვრე რაიონის ფრანგი გლეხები, რომლებსაც ყოველთვის ჰქონდათ საშუალება გადაერეკათ თავისი პირუტყვი საზღვარზე, ახლა თავის ჯოგთან ერთად დაკავებული არიან მეამბოხეთა ხელისუფლების მიერ ესპანეთის ტერიტორიაზე. მათ აკრძალული აქვთ საფრანგეთში დაბრუნება“.

შემდეგ ესპანის სააგენტო იუწყება, რომ მიღებული ცნობების თანახმად, ფაშისტ გენერალ ანიდოს (მეამბოხეთა ოხრანკის უფროსი) თავს დაესხა ერთერთი ფალანგისტი, რომელმაც ხანჯლით დასჭრა ანიდო. 20 დეკემბერს ფაშისტ მეამბოხეთა ხელისუფლების წარმომადგენლებმა ირუნში (საფრანგეთის საზღვართან) დააპატიმრეს 50 კაცი.

რამდენიმე კვირის წინად ფაშისტ მეამბოხეთა მეთაურმა ფრანკომ გამოაცხადა, რომ იგი ახალ შეტევას იწყებს. მაგრამ შეტევა დღემდე არ დაწყებულა. რით აიხსნება ფაშისტ მეამბოხეთა და ინტერვენტთა ეს მოულოდნელი უმოქმედება ფრონტებზე?

ფაბრის სააგენტო ამ ცოტა ხნის წინათ იუწყებოდა, რომ ესპანეთ-პორტუგალიის საზღვარი დახურულია. პორტუგალიაში ფაშისტურ გაზეთებსაც კი არ უშვებენ. იგივე ხდება საფრანგეთის საზღვარზე. უკვე ორი კვირაა, რაც საფრანგეთში ესპანეთის ფაშისტური ზონიდან წერილებს ვერ ღებულობენ.

მრავალი გამოქცეულის, ტყვეების, აგრეთვე იმ რესპუბლიკელთა მოწმობით, რომლებიც ვაცვლის წესით დაბრუნდნენ ესპანეთს, ფრანკოს ზურგში ფაშისტური ზონის სხვადასხვა ადგილას არეულობამ იფეთქა. ორენხში, პამპლონაში, სეგოვიაში, სან-სებასტიანსა და სხვა პუნქტებში დააპატიმრეს ფრანკოს არმიის მრავალი ოფიცერი.

მტრობა ესპანელ მეამბოხეებსა და ინტერვენტებს შორის, აგრეთვე ესპანელ მეამბოხეთა ცალკეულ დაჯგუფებებს შორის ნამდვილ ბრძოლის ხასიათს იღებს; ისინი ერთმანეთის წინააღმდეგ ხელყუმბარებსაც კი ხმარობენ.

ამას წინათ ფრანკოს „მთავრობის“ დედაქალაქ ბურგოსში დაიხურა 40 კაფე, სადაც ადგილი ჰქონდა სტიქიურ ანტიფაშისტურ გამოსვლებს. დააპატიმრეს კაფეს დიდძალი მუშტარი, მათ შორის 300 ოფიცერი.

როგორც ბრიტიშ იუნაიტედ პრესის სააგენტო იუწყება, დეკემბრის დამდეგს ბურგოსში, გენერალ ფრანკოს წინააღმდეგ დიდი შეთქმულების აღმოჩენასთან დაკავშირებით დააპატიმრეს 765 კაცი, უმთავრესად მე-11 საარტილერიო პოლკის ოფიცრები და ჯარისკაცები. დაპატიმრებულთაგან ბევრი დახვრიტეს. შეთქმულთ განზრახვა ჰქონდათ დაემხოთ ფრანკოს მთავრობა.

სან-სებასტიანში გენერალ ფრანკოს შეტევის გეგმების მოტაცებასთან დაკავშირებით დააპატიმრეს 200 კაცი (განზრახული იყო გაეგზავნათ ნახევარმილიონი ჯარისკაცი რესპუბლიკელთა წინააღმდეგ).

ესპანელი ექიმი, რომელიც ესპანეთის მთავრობამ გადაცვლის წესით გაანთავისუფლა, ადასტურებს, რომ ქალაქ ბურგოსის საპატიმროში მოთავსებულია 2.000-ზე მეტი კაცი, რომლებსაც სიკვდილით დასჯა აქვთ გადაწყვეტილი. სენ-კრისტობალის ფორტში მომხდარი აჯანყების შემდეგ ფაშისტებმა 400 კაცი დახვრიტეს.

ესპანეთის რესპუბლიკური პრესა იუწყება, რომ ადგილი აქვს ფრანკოს არმიიდან დეზერტირობის უამრავ შემთხვევას.

მეამბოხეთა მიერ ოკუპირებული ზონის მშრომელები აშკარად ამჟღავნებენ ანტიფაშისტურ განწყობილებას.

ბარბაროსობა, ძალადობა, აბუჩად აგდება, რასაც მიმართავენ ფაშისტი მეამბოხეები და ინტერვენტები, რომლებიც ქვეყანას ძარცვავენ და აჩანაგებენ, რომლებმაც საპატიმროებსა და საკონცენტრაციო ბანაკებში გამოამწყვდიეს ასიათასობით მშრომელები, ამ ბარბაროსების მხეცობა, რომლებიც სკოლებსა და უნივერსიტეტებს ჰხურავენ, ესპანეთის ნაციონალურ მუზეუმებს სძარცავენ, ესპანეთის ნაციონალური კულტურის ძეგლებს სპობენ,—სულ უფროდაუფრო მეტ წინააღმდეგობას იწვევს მშრომელთა მხრივ.

იფუშება არმიის საჭიროებისათვის სახსრების შეგროვება, რასაც ფაშისტთა ხელისუფალნი აწყობენ.

ასტურიაში ფაშისტთა ხელისუფალნი აქვეყნებენ იმ მცხოვრებთა ვრცელ სიებს, რომლებიც დაჯარიმებული არიან. ხშირად ჯარიმას ადებენ „გერმანელებისა და იტალიელებისათვის საქონლისა და პროდუქტების მიყიდვაზე უარის თქმისათვის“. სიებში აღნიშნულია ჯარიმები „ნაციონალური დროშის შეურაცხყოფისათვის“, „იტალიელი ჯარისკაცის გაარშიყების უკმეხად უარყოფისათვის“.

იტალიელ ფაშისტთა მაგალითის მიხედვით, მეამბოხეები ცდილობენ სამხედრო ხასიათის ორგანიზაციებში ჩაბან ბავშვები და მოზარდები, მაგრამ მუქარისა და რეპრესიების მიუხედავად, მოსახლეობა უარს აცხადებს ფაშისტთა მოთხოვნების შესრულებაზე.

ყველაფერი ეს იმას მოწმობს, რომ ფრანკოს ზურგში მოსახლეობა სულ უფროდაუფრო მეტ წინააღმდეგობას უწევს ფაშისტურ დიქტატურას.

სწორედ ამაში უნდა ვეძებოთ მეამბოხეთა ახალი შეტევის ჩაშლის მიზეზი, იმ შეტევისა, რომლის შესახებაც ისინი ასე ფართოდ აცხადებდნენ ჯერ კიდევ ამ ცოტა ხნის წინათ. ებროსათვის წარმოებული ბრძოლები, რომლის დროსაც მეამბოხეებმა და ინტერვენტებმა 80 ათასზე მეტი ჯარისკაცი დაჰკარგეს, იმას მოწმობენ, რომ ესპანეთში ომი დღითი-დღე სულ უფროდაუფრო ძნელი და საშიში ხდება მეამბოხეებისა და ინტერვენტებისათვის.

განაგრძობენ რა ჯარის გაძლიერებით გზავნას, ინტერვენტები ჩქარობენ დაამთავრონ ომი. აქეთკენ არის მიმართული მთელი მეცადინეობა აგრესორი ქვეყნებისა, რომლებიც ცდილობენ ბლოკადით დააჩრჩონ რესპუბლიკური ესპანეთი. სწორედ ამიტომ მოითხოვს მუსოლინი საფრანგეთისა და ინგლისისაგან, რომ მეომარი მხარის უფლებები მიანიჭონ ფრანკოს, ვინაიდან ეს საშუალებას მისცემს ფაშისტ დამპყრობლებს განახორციელონ რესპუბლიკური ესპანეთის ბლოკადა. ამ აგრესიულ საქმიანობაში ინტერვენტებსა და მეამბოხეებს პირდაპირს დახმარებას უწევს ჩემბერლენის მთავრობის საგარეო პოლიტიკა.

ეჭვს გარეშეა, რომ მომავალი ზამთარი მეტად სასტიკი იქნება რესპუბლიკური ესპანეთისათვის. მაგრამ ვერავითარი სიძნელეები ვერ შეაშინებენ გმირ ხალხს. ესპანეთის ხალხის ერთიანობა, რაც დღითი-დღე იზრდება, ფაშისტებისადმი სიძულვილის განუწყვეტელი ზრდა იმ 12 მილიონი ესპანელის მხრივ, რომლებიც ახლა გენერალ ფრანკოს უღლის ქვეშ იმყოფებიან, აი ის უძლეველი ციხე-სიმაგრე, რომელზედაც დაიმსხვრევა მეამბოხეთა და ინტერვენტთა ყაჩაღური გეგმები.

ესპანეთის ფრონტებზე

(საკდესის მიერ პარიზიდან და ბარსელონიდან მიღებული ცნობების მიხედვით)

ცენტრალური ფრონტი

უკანასკნელი დღეების განმავლობაში უნივერსიტეტის ქალაქში მადრიდის მახლობლად რესპუბლიკელებმა რამდენიმე ნაღმი აფეთქეს. სწარმოებდა გაცხოველებული სროლა.

ფაშისტების არტილერიამ ყუმბარები დაუშინა მადრიდის აღმოსავლეთ უბნებს. 21 დეკემბერს მეამბოხეთა არტილერიამ ყუმბარები დაუშინა მადრიდის სამხრეთ-დასავლეთის ზონას. სამოქალაქო მოსახლეობას შორის რამდენიმე კაცი დაიჭრა.

ესპანეთის ნაციონალური თავდაცვის სამინისტროს ცნობაში ნათქვამია, რომ 21 დეკემბერს სხვა ფრონტებზე არავითარი მნიშვნელოვანი ოპერაცია არ მომხდარა.

∞

21 დეკემბერს იტალიისა და გერმანიის დაახლოებით 60 ყუმბარმტყორცნი ყუმბარებს უშენდა კატალონიაში შემდეგ ქალაქებს: მანრესას, ტარეგას, ტარაგონას, გრანერახს, ბორხასს, ბლანკასსა და სხვებს. მანრესში მოკლულია 8 კაცი და დაჭრილია 53, უმეტეს ნაწილად ქალები და ბავშვები. დანგრეულია 16 სახლი.

ესპანის სააგენტოს ცნობით, იტალიის მზვერავი თვითმფრინავი „რომეო“ 20 დეკემბერს დღისით თავს დაესხა საგუნტოს ნავსადგურს. თვითმფრინავმა ქალაქში ჩამოაგდო 8 ყუმბარა, რომლებმაც ზიანი ვერ მიაყენეს ქალაქს.

ჰავასის სააგენტოს ცნობით, ფაშისტთა 5 თვითმფრინავმა ყუმბარები დაუშინა ალკასარს ალმერის რაიონში. ჩამოგდებული იყო 50 ყუმბარა. მოკლულია 17 და დაჭრილია 28 კაცი. დანგრეულია 30 სახლი.

21 დეკემბერს დილით გერმანიის თვითმფრინავების რამდენიმე ესკადრილიამ 20 ყუმბარმშენისა და 20 გამანადგურებლის შემადგენლობით მრავალი ყუმბარა ჩამოაგდო სოფელ ვილიალონგში და ვალსში ბარსელონის მიდამოებში. ვილიალონგში დანგრეულია რამდენიმე სახლი და არის მსხვერპლი სამოქალაქო მოსახლეობას შორის, კერძოდ, მოკლულია ორი გოგონა — 7 და 10 წლისა, რომელნიც რამდენიმე მეტრზე იყვნენ თავიანთ სკოლიდან.

მეგრული ჯიშის თხის გამოფენა

წალენჯიხა, 23 დეკემბერი (საქდესი). წალენჯიხის საraionთაშორისო ჯიშსაშენის ინიციატივით ამ დღეებში წალენჯიხაში ჩატარდა მეგრული ჯიშის თხის სარაიონო გამოფენა. გამოფენაზე წარმოდგენილი იყო 10 საკოლმეურნეო საჯიშე ფერმის და 97 კოლმეურნისა და ერთპიროვნული მეურნის საუკეთესო ექსპონატები.

საგამოფენო კომიტეტის დადგენილებით პირველი ჯილდო 400 მანეთის რაოდენობით მიიღეს სოფ. ჯვარის „მუშაკათას“ და სოფ. ფახულანის კიროვის სახელობის კოლმეურნეობებმა.

მეორე და მესამე ჯილდო მიიღო 4 კოლმეურნეობამ.

თბილისი. ლენინისა და მელიქიშვილის ქუჩების კუთხეში.
ფოტო ო. ზუდეშტსკისა („სოიუზფოტოს საქ. განყ.).

საახალწლო ხილი მოსკოვსა და ლენინგრადს

საბჭოთა კავშირის დედაქალაქ მოსკოვისა და ქ. ლენინგრადისათვის „საქხილბოსტანმა“ საახალწლოდ 21.500.000 ცალი მანდარინი და 1982 ტონა ვაშლი და მსხალი გაგზავნა.

△

მოძრავი გამოფენა

საქართველოს კომუნალური მუზეუმი ამზადებს მოძრავ გამოფენას, რომელიც ასახავს საქართველოს დედაქალაქის რეკონსტრუქციის მიღწევებს. გამოფენა ნაჩვენები იქნება გორში, ბათუმში, ქუთაისში, სტალინირში და საქართველოს სხვადასხვა რაიონების მსხვილ კოლმეურნეობებში.

○

მირზა-ფატალი ახუნდოვის საღამო

23 დეკემბერს [illegible] სახელმწიფო დრამის თეატრში შესდგა აზერბაიჯანის [illegible] მწერლის და დრამატურგის მირზა-ფატალი ახუნდოვის [illegible] მიძღვნილი საღამო.

საღამოს ესწრებოდნენ მწერლები, პოეტები, არტისტები.

საღამო შესავალი სიტყვით გახსნა სსრკ უმაღლესი საბჭოს დეპუტატმა, რესპუბლიკის დამსახურებულმა არტისტმა მწერალმა **შალვა დადიანმა**.

მირზა-ფატალი ახუნდოვის შემოქმედებისა და მოღვაწეობის შესახებ მოხსენება გააკეთა აზერბაიჯანელმა მწერალმა **რიზა შაჰვალადმა**. სიტყვებით გამოვიდნენ: რუსთაველის თეატრის სახალხო არტისტი, ორდენოსანი **გ. დავითაშვილი**, სომხური სახელმწიფო დრამის თეატრის არტისტი, საქ. სსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატი **ალ. აბარიანი**, აზერბაიჯანული სახელმწიფო დრამის თეატრის სახალხო არტისტი **იბრაჰიმ ისფაჰანლი**, აზერბაიჯანელი მწერალი **ბაგირ არდაჰანლი** და რუსული სახელმწიფო დრამის თეატრის არტისტი **რუბინი**.

მ.-ფ. ახუნდოვისადმი მიძღვნილი საკუთარი ლექსები წაიკითხეს პოეტებმა **მამედ ჰუსეინ ბახტიარლიმ** და **სეიფულა ალიევმა**.

აზერბაიჯანული სახელმწიფო დრამის თეატრის არტისტმა **სარა ზეინალოვამ** წაიკითხა მირზა-ფატალი ახუნდოვის ლექსი „პუშკინის გარდაცვალებაზე“; ამ ლექსის ქართული თარგმანი წაიკითხა პოეტმა **იოსებ გრიშაშვილმა**.

დასასრულ, აზერბაიჯანის სახელმწიფო დრამის თეატრის არტისტების მიერ შესრულებულ იქნა სცენები ახუნდოვის კომედიებიდან „სარაბხან ვეზირ“ და „მაჯიგარა“.

○

ნაძვისხე სკოლებში

საზამთრო არდადეგების პერიოდში 30 დეკემბრიდან 10 იანვრამდე სკოლებსა და სხვა საბავშვო დაწესებულებებში მოეწყობა საახალწლო ნაძვისხე. ნაძვისხის მოწყობას დიდი ყურადღება მიექცევა. ეს გადაიქცევა ბედნიერ ბავშვთა დღესასწაულად.

ეს დღესასწაული მხატვრულად უნდა გაფორმდეს. განსახკომის დადგენილებით ნაძვისხე უნდა მოირთოს თვით ბავშვთა უშუალო მონაწილეობით, მასწავლებელთა და მშობლების ხელმძღვანელობით.

სხვადასხვა მოწყობილობათა დამზადების დროს უნდა ისარგებლონ არა მხოლოდ ნაყიდი მასალებით, არამედ ფართოდ გამოიყენონ თვით ბავშვთა ნაკეთობანი.

დღესასწაულის პროგრამა არ უნდა გადაიტვირთოს მრავალრიცხოვანი გამოსვლებით, არამედ მეტი დრო დაეთმოს მუსიკას, თამაშობას, ცეკვას, სიმღერას, ბავშვთა თვითმოქმედებას.

დღესასწაულზე გათვალისწინებულ უნდა იქნას ბავშვების დასაჩუქრება.

ნაძვისხის მოწყობის დროს არავითარ შემთხვევაში არ დაიშვება დარბაზში დიდძალ ბავშვთა თავმოყრა. იქ, სადაც სკოლის შენობის ფართობი საშუალებას არ იძლევა დაიტიოს ყველა ბავშვი, ნაძვისხე მოეწყობა კლუბებში, კინოში, ან სხვა უფრო ფართო შენობებში.

ჭადრაკი

ამხანაგური მატჩი

25 დეკემბერს, საღამოს 7 საათზე, ხელოვნების მუშაკთა სახლში (მახარაძის ქ. № 8) გრიბოედოვის თეატრის მსახიობთა საჭადრაკო გუნდსა და თბილისის საუკეთესო მოჭადრაკე ქალთა შორის ჩატარდება მატჩი 15 დაფაზე.

ასპირანტურა სახელმწიფო მუზეუმთან

ადგილობრივი პარტიული ორგანიზაციის ინიციატივით საქართველოს სახელმწიფო ისტორიულ მუზეუმში ჩამოყალიბდა ასპირანტურის მსგავსი კურსები. კურსები მიზნად ისახავს საკუთარ მეცნიერ თანამშრომლებისაგან მოამზადოს მაღალკვალიფიციური კადრები მუზეუმში სამუშაოდ, აამაღლოს მათი მეცნიერული და იდეურ-პოლიტიკური მომზადების დონე.

ამჟამად ასპირანტურას აქვს 7 განყოფილება, რომელთაც ხელმძღვანელობენ ისეთი ცნობილი სპეციალისტები, როგორიც არიან პროფ. ივ. ჯავახიშვილი, პროფ. ნ. კეცხოველი, პროფ. გ. ნიორაძე, პროფ. ივ. ჩხიკვიშვილი, პ. ინგოროყვა და სხვ. ახალგაზრდა მეცნიერი - თანამშრომლები მიმაგრებული არიან საგნის ხელმძღვანელ სპეციალისტებზე, რომლებიც ყოველმხრივ დახმარებას უწევენ მათ სამუზეუმო მუშაობისა და არჩეული სპეციალური შეცხიურების დაუფლებაში.

კურსებზე დიდი ყურადღება ექცევა უცხო ენების შესწავლას.

დიფერენცირებული ტარიფი ავტობუსებზე

თბილავტოტრანსის ავტობუსებზე ჯერ კიდევ ერთიანი ტარიფია ძალაში. მიუხედავად მანძილისა, სამგზავრო ბილეთი ღირს 50 კაპ.

თბილისის საბჭოს პრეზიდიუმმა წინადადება მისცა ავტოტრესტის დირექციას, რომ თანახმად ამომრჩეველთა მიერ თბილისის საბჭოს და რაისაბჭოების დეპუტატებისათვის მიცემული განაწესისა, უახლოეს დროში დაამუშაოს ავტობუსებით მგზავრობისათვის დიფერენცირებული ტარიფის შემოღების საკითხი.

ავტობუსებზე ახალი დიფერენცირებული ტარიფის შემოღების საკითხს თბილისის საბჭოს პრეზიდიუმი იანვარში განიხილავს.

კინო

ძველი და ახალი თბილისი ეკრანზე

საქართველოს სახკინმრეწვის საქკინოქრონიკა შეუდგა მუშაობას ახალ მხატვრულ-დოკუმენტალურ ფილმზე „ძველი და ახალი თბილისი“, რომლის სცენარი ეკუთვნით გ. სვანელსა და ი. კანდელაკს. ფილმს სდგამს რეჟისორი ი. კანდელაკი. ფილმის სცენარი დამტკიცებულია სსრ კავშირის სახკომსაბჭოსთან არსებული ქრონიკალურ-დოკუმენტალური ფილმების მთავარი კომიტეტის მიერ.

ფილმი გვიჩვენებს რევოლუციური მოძრაობის კერას თბილისში, დიდი სტალინის რევოლუციურ მოღვაწეობასა და ცხოვრებასთან დაკავშირებულ ადგილებს, ავლაბრის არალეგალურ სტამბას.

ფილმი იწყება ლეგენდით ვახტანგ გორგასლანის დროს თბილისის დაარსების შესახებ (მულტიპლიკაცია). ფილმში ფართოდ იქნება გამოყენებული თბილისის საბჭოს კომუნალური მუზეუმის მასალები, როგორც, მაგალითად, ძველი თბილისის კუთხეები, ქალაქის მეურნეობის მდგომარეობა მენშევიკების დროს და სხვ.

ფილმის მეორე ნაწილში ასახული იქნება ორდენოსანი საქართველოს დედაქალაქ თბილისის აყვავება და კულტურა. დიდძალი კადრები უჩვენებენ ქალაქის განვითარებას მას შემდეგ, რაც ამხ. ლ. ბერიამ თბილისის საბჭოს პლენუმზე წარმოსთქვა სიტყვა იმის შესახებ, რომ თბილისი მზიანი საქართველოს სანიმუშო დედაქალაქად უნდა გადაიქცეს.

ფილმი მზად იქნება მაისის დღესასწაულებისათვის.

გალაკტიონ ტაბიძის შემოქმედებითი მუშაობის 30 წლისთავის აღნიშვნა

გუშინ თბილისის მწერალთა საზოგადოებრივობამ აღნიშნა საქართველოს სახალხო პოეტის, ორდენოსანი გალაკტიონ ტაბიძის პოეტური შემოქმედებითი მუშაობის 30 წლისთავი.

ამ თარიღის აღსანიშნავად საქართველოს მწერალთა კლუბში გაიმართა საღამო, რომელიც გახსნა პოეტმა **სიმ. ჩიქოვანმა**. გალაკტიონ ტაბიძის პოეტური შემოქმედების შესახებ მოხსენებით გამოვიდნენ ამხ. **შ. რადიანი** და **აკ. გაწერელია**. სიტყვები წარმოსთქვეს—**ლევ. ასათიანმა, დიმ. ბენაშვილმა** და **ალ. სულავამ**.

გალაკტიონ ტაბიძისადმი მიძღვნილი ლექსები წაიკითხეს პოეტებმა—**ალ. აბაშელმა, გიორგი ქუჩიშვილმა**, რუსმა პოეტმა **იური ივნევმა, კ. ბობოხიძემ** და **ალ. გომიაშვილმა**. **ელენე შერმა** წაიკითხა რუსულად გადათარგმნილი „ლურჯა ცხენები“.

დასასრულ, გამოვიდა **გალ. ტაბიძე**, რომელმაც დამსწრე საზოგადოებას ულრმესი მადლობა გადაუხადა და წაიკითხა რამოდენიმე საკუთარი ლექსი.

პოემა „ა. ს. პუშკინის გარდაცვალებაზე“ ქართულად

პოეტმა ი. გრიშაშვილმა სთარგმნა მირზა-ფატალი ახუნდოვის პოემა „ა. ს. პუშკინის გარდაცვალებაზე“. პოემას გამოსცემს გამომცემლობა „ფედერაცია“. წიგნი გამოვა მ.-ფ. ახუნდოვის იუბილეს დღეს.

აქამდე არსებობდა ამ პოემის ქართული პროზაული თარგმანი, შესრულებული ამავე მთარგმნელის მიერ ბესტუჟევ - მარლინსკის რუსული თარგმანის მიხედვით. თვით პოემის დედანი 100 წლის განმავლობაში დაკარგულად ითვლებოდა და მხოლოდ ახლახან აღმოჩნდა. პოეტმა გრიშაშვილმა ახალი ქართული თარგმანი გააკეთა ლექსად ამ ორიგინალის მიხედვით.

წიგნს დართული აქვს ი. გრიშაშვილის წინასიტყვაობა.

წერილი რედაქციისადმი

ვინაიდან არა მაქვს შესაძლებლობა პირადად ვუპასუხო ყველა ამხანაგსა და საზოგადოებრივ ორგანიზაციას, რომლებმაც გულწრფელი სამძიმრის დეპეშები და წერილები გამოგვიგზავნეს ჩვენი ოჯახის მწუხარების გამო, გთხოვთ თქვენი გაზეთის საშუალებით ჩემი ღრმა გულითადი მადლობა გამოუცხადოთ ყველას, ყურადღებისა, მეგობრული თანაგრძნობისა და გამხნევებისათვის.

ო. ჩკალოვა.

◆

ქვანახშირი და მარგანეცი

22 დეკემბრისათვის

(ტ ო ნ ო ბ ი თ)

	გეგმა	შესრულება	%%
ტყიბული	1012	1136	112,3
ტყვარჩელი	730	789	108
ჭიათურა	5530	4494	81

ოდესა. ფელდმანის სახელობის ბულვარი. („სოიუზფოტო“)

ლექციები და მოხსენებები

● 25 დეკემბერს, საღამოს 8 საათზე, საქართველოს მუზეუმის აუდიტორიაში (ფურცელაძის ქუჩა № 1) შესდგება ენის, ისტორიისა და მატერიალური კულტურის ინსტიტუტის საჯარო სხდომა. პროფ. **ივ. ჯავახიშვილი** წაიკითხავს მოხსენებას თემაზე: „ქართველი და მისი მონათესავე ტომების უძველესი კულტურის პრობლემები: წარმართული პანთეონი და მსოფლმხედველობა“.

დასწრება თავისუფალია.

○

● დღეს, საღამოს 7 საათზე, საქართველოს ანტირელიგიური მუზეუმის შენობაში (პლეხანოვის პროსპ. № 85) ირ. მენთეშაშვილი წაიკითხავს ლექციას თემაზე: „ტვინი და სული“.

დასწრება თავისუფალია.

მშობლებია დამნაშავე

მილიციის მე-11 განყოფილებამ შეიპყრო მცირეწლოვანი ქურდები—ლ. სუკიასოვი—14 წლის (კიროვის ჩიხი № 16) და ხ. ჩილკატიანი—11 წლის (ლერმონტოვის ქ. № 17).

ორივენი არსად სწავლობდნენ და მთელ დროს ქუჩაში ატარებდნენ. მშობლებმა იცოდნენ თავისი შვილების საქციელი, მაგრამ ყურადღებას არ აქცევდნენ, ბავშვები ქუჩის გავლენით სულ უფრო იხრწნებოდნენ და ბოლოს, ბოროტმოქმედები გახდნენ. ისინი მიცემული არიან პასუხისგებაში. ლ. სუკიასოვი, რომელსაც უკვე რამდენიმე რეგისტრაცია აქვს—დაპატიმრებულია.

მათთან ერთად პასუხისგებაში არიან მიცემული მათი მშობლებიც, რომელთა მოვალეობას შეადგენდა თავისი შვილების აღზრდა.



მ. მ. მანიზერის მიერ შესრულებული ტ. შევჩენკოს ძეგლი ხარკოვში.
ფოტო თ. ფურცელაძისა.

პასუხისმგებელი რედაქტორი ვ. ხატიაშვილი

ლ. კეცხოველის სახელობის პარტგანათლების სახლში

ყოველდღე ტარდება ინდივიდუალური კონსულტაციები ამხანაგებისათვის, რომლებიც შეუდგნენ „საკ. კ. პ. (ბ) ისტორიის მოკლე კურსის“ დამოუკიდებლად შესწავლას.

კონსულტაციები ტარდება დილის 10 საათიდან 4 საათამდე და საღამოს 8-დან 11 საათამდე ქართულ და რუსულ ენებზე.

კონსულტანტების ტელეფონები: 3—18—46 და 3—61—68

თბილისის ზ. ფალიაშვილის სახ. ოპერისა და ბალეტის ლენინის ორდენოსანი სახ. თეატრი 1938-39 წ. სეზონი.

24/XII	26/XII	27/XII
მუდმ. ადგ. ტალ. № 56	მუდმ. ადგ. ტალ. № 57 აბ. № 3	მუდმ. ადგ. ტალ. № 58
წყნარი დონი	**სევილიელი დალაქი**	**აიდა**

დასაწყისი 8 საათზე

აბონენტები, რომლებიც არ შემოიტანენ მესამე გადასახადს თავისი წარმოდგენის დღის 3 საათამდე, ჰკარგავენ უფლებას თავის ადგილებზე.

რუსთაველის სახელობის ლენინის ორდენოსანი სახელმწიფო თეატრი
1938-39 წ. სეზონი

24/XII	წარმოდგენა 80 **ფოლადაური**
26/XII	წარმოდგენა 81 **უდანაშაულოდ დამნაშავენი**
27/XII	წარმოდგენა 82 **ფოლადაური**

სახცირკი ტელ. 3-11-44

დღეს
სამი წარმოდგენა
ორი დღისით: 1-ის დასაწყისი დღის 12 ს.
მე-2-ის დასაწყისი 2 ს. 30 წ.
საღამოს—დასაწყისი 8 ს. 30 წ.
დიდი მრავალფეროვანი პროგრამა
ვ. დუროვის გამოსვლა
მხეცები, ცხოველები, ფრინველები
ზღვის ლომები, სპილო.
სალარო დღის 10 საათიდან.

მარჯანიშვილის სახელობის სახელმწიფო თეატრი

24/XII	**ურიელ აკოსტა**

სალარო ღიაა დილის 12 საათიდან საღამოს 9 საათამდე.
დასაწყისი 8 საათზე.

უმაღლეს სასწავლებელთათვის მოსამზადებელ კურსებზე
გრძელდება განცხადებების მიღება

აქვე გაიხსნა საშუალო სასწავლებლის დასამთავრებელი საექსტერნო კურსები.

მიღება საღამოს 6 ს. საბჭოს ქ. № 75, მე-29 სკოლა. 22380

თბილისის სტალინის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტში 1939 წ. 17 იანვარს ხელოვნებათმცოდნეობის მეცნიერებათა კანდიდატის ხარისხის მოსაპოვებლად **ა. ნ. ფალავა** დაიცავს დისერტაციას თემაზე: **„ლადო მესხიშვილი“**.

ოფიციალური ოპონენტი **კონსტანტინე კაპანელი.**

თბილისის სტალინის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტი.

1407

კიროვის მესამე უბნის რაი სახ. სასამართლოს აღმასრულებელი ცეკავშირის საქმეებზე **შ. დ. ბეჟუაშვილი** ამით აცხადებს, რომ **საჯარო ვაჭრობა, რომელიც დანიშნული იყო ა. წ. 22 დეკემბრისათვის—გრიგოლ შუბლაძის** პიანინოსი, გადატანილი არის ა. წ. 27 დეკემბერს ნაშუადღევს 2 ს. 17242

საქ. კოოპინკავშირში შემავალ არტელ „ინწრეს“ დასკვნითი ბალანსი 1938 წ. 1 იანვრისათვის

აქტივი — პასივი

№№ რიგ.	მუხლების დასახელება	ჯამი	№№ რიგ.	მუხლების დასახელება	ჯამი
1	ძირითადი საშუალებანი	11191—80	1	ფონდები	81111—01
2	ნედლეული და მასალები	9694—75	2	მიზნობრივი რეზერვები	4720—00
3	წარმოება და გადამუშავება	1967—94	3	ანგარიშსწორებანი	60645—32
4	პროდუქცია და საქონელი	28315—35	4	დაგროვებანი	3014—85
5	მცირეფასიანი ინვენტარი	3472—22			
6	ფულადი საშუალებანი	98—02			
7	საშუალებანი ანგარიშსწორებაში	78032—87			
8	განყენებული საშუალებანი	16718—23			
	ბალანსი..	149491—18		ბალანსი..	149491—18

დაგროვება-დანაკარგების ანგარიში

1.	ხარჯები და ზარალი სხვადასხვა	35716—00	1.	შემოსავალი რეალიზაციით	29069—36
			2.	სხვადასხვა შემოსავალი	9661—49
	სულ..	35716—00		სულ..	38730—85
2.	დაგროვებანი	3014—85			
	ბალანსი.	38730—85		ბალანსი.	38730—85

ბალანსი დამტკიცებულია საბალანსო კომისიის მიერ 1938 წ. 8/V.

არტელის თავმჯდომარე **გ. რუხაძე.** მთ. ბუხჰალტერი **პ. ბუაძე.** 1662

საქ. სარეწ. საბჭოში შემავალ არტელ „ტრუდხიმის“ დასკვნითი ბალანსი 1938 წ. 1 იანვრისათვის

აქტივი — პასივი

№№ რიგ.	მუხლების დასახელება	ჯამი	№№ რიგ.	მუხლების დასახელება	ჯამი
1	ძირითადი საშუალებანი	830.702	1	ფონდები	649.120
2	საშუალებანი ბრუნვაში	86.893	2	მიზნობრივი რეზერვები	12.599
3	ნედლეული და მასალები	285.567	3	მრეგულირებელი მუხლები	6.013
4	წარმოება და გადამუშავება	103	4	გრძელვადიანი კრედიტები	62.805
5	პროდუქცია და საქონელი	151.659	5	ანგარიშსწორებანი	649.283
6	ფულადი საშუალებანი	20.374	6	ბალანსთაშორისო ანგარიშსწორება	14.259
7	საშუალებანი ანგარიშსწორებაში	82.307	7	დაგროვებანი	212.090
8	ხარჯები მომავალი ოპერაციების ანგარიშით	20.185			
9	განყენებული საშუალებანი	100.167			
10	დანაკარგები წარსული წლისა	28.212			
	ბალანსი...	1.606.169		ბალანსი...	1.606.169

მოგება-ზარალის ანგარიში.

1.	ხარჯები და ზარალი სხვადასხვა	99.504	1.	შემოსავალი რეალიზ.	307.649
2.	დაგროვებანი	212.090	2.	სხვადასხვა შემოსავალი	3.945
	ბალანსი	311.594		ბალანსი	311.594

ბალანსი დამტკიცებულია საბალანსო კომისიის მიერ 1938 წ.

არტ. თავმჯდომარე **კუდუხაშვილი.** მთ. ბუხჰალტერი **მაღრაძე.** 1177

მისამართი: რედაქციის — თბილისი, რუსთაველის პროსპ. № 16, გამომცემლობის — რუსთაველის პროსპექტი № 34, ტელეფონები: პასუხისმგებელი მდივნის — 3—08—67, პ.-მგ. მდივნის მოადგილისა — 3—06—88, განყოფილებებისა: პარტიულის — 3—57—61, სასოფლო-სამეურნეოს — 3—73—40, მშრომელთა წერილების — 3—73—24, პ.-მგ. მორიგის — 3—26—67, გამომცემლობის — 3—51—81, სტამბის დირექტორის — 3—27—04. ხელნაწერები ავტორებს არ უბრუნდებათ

ამხ. ს. თოდრიას სახ. სტამბა „კომუნისტი“, თბილისი, ჯამის ქ. № 68.

მთავლიტის რწმუნებული Ө—247